ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ალმა მატერ
უნივერსიტეტი

20 დეკემბერი, 2019

პარასკევი, №12 (2238)

თსუ ახალი წლის ჩემპიონია

თსუ კალათბურთის გუნდმა სუპერლიგის პირველი წრე 8 მოგებითა და 2 მარცხით დაასრულა და ახალ წელს პირველ ადგილზე შეხვდება. პირველ წრეში დარჩენილი ბოლო, მე-11 ტურში თსუ ისვენებს და ნებისმიერი გუნდისთვის მიუწვდომელია. თსუ-მ „დინამოს“ 16 ქულით სძლია და უახლოეს მდევრებს მთელი 3 მოგებით უსწრებს.

თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი თანამშრომელთა შვილებისათვის 3 და 4 იანვარს უნივერსიტეტის I კორპუსის სააქტო დარბაზში ტრადიციულად აწყობს საახალწლო ღონისძიებას. თოვლის ბაბუა პატარებს საახალწლო საჩუქრებს დაურიგებს.

გილოცავთ ახალი 2020 წლის დადგომას!

ახალ წელს ახალი იმედებითა და გეგმებით ვეგებებით. დარწმუნებული ვარ, არანაკლებ საინტერესო წელი გველოდება, 2019 კი მართლაც გამორჩეული იყო უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტელებისთვის. იმედი გვაქვს, რომ მომავალი წელი კიდევ უფრო წარმატებული იქნება. ყველა სტუდენტსა და პროფესორს, კურსდამთავრებულსა თუ ადამინისტრაციის თანამშრომელს, ყველა უნივერსიტეტელს ვულოცავ დამდეგ 2020 წელს! სტუდენტებს ხარისხიან სწავლას, კურსდამთავრებულებს სწრაფ და კვალიფიკაციის შესაბამის დასაქმებას, პროფესორებს კი დიდ სამეცნიერო შედეგებს ვუსურვებ!

გიორგი შარვაშიძე, თსუ-ის რექტორი

ნომერში

- ვარლამ ჩერქეზიშვილის საქართველოში „დასაბრუნებლად“ უნივერსიტეტმა ღონისძიებათა ციკლი დაგეგმა — გვ. 13
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება იზრდება — გვ. 2
- ახალი წლის საჩუქარი – საერთაშორისოდ აკრედიტებულ პროგრამებზე მიღება გამოცხადდება — გვ. 2
- როდის და ვის აირჩევს უნივერსიტეტი ახალ კანცლერად? — გვ. 3
- კიდევ ერთი ფურცელი ქართულ-უკრაინულ კულტურათა დიალოგში — გვ. 5
- დეკანების ახალი წელი — გვ. 4
- ახალგაზრდა ფსიქოლოგის წინასაახალწლო რჩევები — გვ. 11
- „ინდაურის ეკონომიკით“ გამოწვეული წინასაახალწლო პროტესტი და ეკონომისტის მეგობრული რჩევები — გვ. 11

2019 წლის მნიშვნელოვანი ამბები:

- წლის მოვლენა თსუ-ში
- 2019 წელს გამოკვეთილი თსუ-ის ძლიერი მხარე
- რა წარმატებებზე დგას თსუ?
- 2019 წლის პრიორიტეტული სიახლე
- 2019 წელს თსუ მეტმა სტუდენტმა აირჩია, ვიდრე შარშან
- სტუდენტური პროექტების დაფინანსების საბჭოს წლიური დასკვნა
- 2019 წლის აკადემიკოსები თსუ-დან
- წლის ადამიანები

— გვ. 7-10

რითი იყო გამორჩეული 2019 წელი და რა იგეგმება მომავლისთვის?

გვესაუბრება თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე — გვ. 3

თსუ-ის ორი მეცნიერი ეროვნული პრემიის ლაურეატი გახდა

— გვ. 6

ნაბოლეონი ლაბორატორიებშიც კი აჯილდოებდა და ახალისებდა მეცნიერებს...



ეს ჯილდო მივუძღვენი დიდ პატრიოტს ვაჟა გაფრიდაშვილს!

აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება იზრდება

ნატო ობოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული (დამხმარე) პერსონალის შრომის ანაზღაურება იზრდება. ცვლილებები ორ ეტაპად განხორციელდება. უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ხელფასები აკადემიურ პერსონალს 2020 წლის 1 მარტიდან მოემატება (1 მარტიდან ზრდა შეეხება, ასევე, ტექნიკური პერსონალის იმ გარკვეულ ნაწილს, ვისი ანაზღაურებაც საკამოდ დაბალია), 1 სექტემბრიდან კი ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის ანაზღაურება გაიზრდება. ამ მიზნით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტში 1 400 000 ლარი იქნება გათვალისწინებული.

„ქვეყანაში არსებული ინფლაციის და ვალუტის კურსის ცვლილებები აისახა როგორც მთლიანად ქვეყანაზე, ასევე, თავისთავად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზეც. აღნიშნულ პირობებში, თუ მცირე გამონაკლისს არ ჩავთვლით, უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის ანაზღაურება არ გაზრდილა, რამაც თსუ მაღალკვალიფიციური კადრების შენარჩუნების გამოწვევის წინაშე დააყენა. პრობლემა მომავალში უფრო გამწვავდება, თუ სათანადო ზომებს არ მივიღებთ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს 30%-ით მეტი სტუდენტი მიიღო, 2019 წელს — 45%-ით, რამაც საშუალება მოგვცა აკადემიური და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალისთვის ანაზღაურება გაგვეზარდა. გამოყოფილი 1 400 000 ლარიდან 1 000 000 ლარი აკადემიური პერსონალის ანაზღაურების ზრდისთვის არის გამიზნული, 400 000 ლარი — ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალისთვის. ეს ცვლილება, როგორც აღვნიშნე, შიდასაუნივერსიტეტო ფინანსური რესურსის ხარჯზე ხორციელდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ თსუ-ში დასაქმებული კადრების რაოდენობა საკმაოდ დიდია, ანაზღაურება მნიშვნელოვნად ვერ გაიზრდება, თუმცა პროცესი დაიწყება და, დამატებითი ფინანსური რესურსის მობილიზების შემთხვევაში, გაგრძელდება. ასე რომ, აკადემიური და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების ზრდა ერთჯერადი ხასიათის არ იქნება. თსუ-ში დასაქმებულთა გასამრჯელო გაუმჯობესდება უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი მოდელის ამოქმედების შემთხვევაშიც, რაც სახელმწიფო დაფინანსების ზრდას გულისხმობს და რომელზეც საქართველოს მთავრობა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მსოფლიო ბანკთან ერთად მუშაობს“, — განაცხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა ლაშა საღინაძემ.

ლაშა საღინაძე

კონკრეტულად რა რაოდენობით მოემატებათ ანაზღაურება სხვადასხვა აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმებულ პირებს — ასისტენტ-პროფესორს, ასოცირებულ პროფესორსა და სრულ პროფესორს — ფაკულტეტების საბჭოები გადაწყვეტენ.

„ფაკულტეტების დეკანებთან ორი შეხვედრა გვქონდა, გავითვალისწინეთ თითოეულ ფაკულტეტზე არსებული სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის რაოდენობა და შევთანხმდით, თუ როგორ გადანაწილდებოდა ფინანსები ფაკულტეტებს შორის. მიღებულ თანხას აკადემიურ პერსონალზე როგორ და რა კრიტერიუმით გადაანაწილებენ, თავად ფაკულტეტები და ფაკულტეტის საბჭოები გადაწყვეტენ“, — აღნიშნა ლაშა საღინაძემ.

ახალი წლის საჩუქარი – საერთაშორისოდ აკრედიტებულ პროგრამებზე მიღება გამოცხადდება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2020-2021 სასწავლო წელს საერთაშორისოდ აკრედიტებულ პროგრამებზე გამოაცხადებს მიღებას. საერთაშორისოდ აკრედიტებული პროგრამების შეთავაზება ეტაპობრივად დაიწყება. 2020-2021 სასწავლო წლისთვის თსუ მიღებას გამოაცხადებს ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიისა და კომპიუტერული მეცნიერებების ABET აკრედიტებულ და ქიმია ACS სერტიფიცირებულ პროგრამებზე. პროგრამები თსუ-მ და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა (SDSU) ერთობლივად წარადგინეს.

„ეს პროგრამები პირველი მერცხალია, მათგან ორმა აკრედიტაცია მიიღო, რაც აგვისტოში ფორმალურად დადასტურდება. მომავალ სასწავლო წელს მიღება გამოცხადდება ABET აკრედიტებულ პროგრამებზე, რაც ნიშნავს, რომ დიპლომი იქნება საერთაშორისო წონის მქონე“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ. მისივე თქმით, „სან დიეგოს უნივერსიტეტთან შეთანხმება ხდება აკრედიტებული პროგრამების კურსდამთავრებულებისთვის ერთდროულად თსუ-სა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომების გადაცემაზე. ამასთან, უკვე აშშ ქიმიკოსთა ასოციაციასთან ქიმიის პროგრამის სერტიფიცირების საკითხი წყდება. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა რეგიონში. ყველას ვულოცავ, შევძელით და ძალიან ხანგრძლივი, 5 წლიანი პროცესი 3 წელში გავიარეთ, აღიარებამაც არ დააგვიანა“.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ჰალილ გუვენის თქმით, სან დიეგოს უნივერსიტეტის რამდენიმე მნიშვნელოვანი მისია საქართველოში უკვე შესრულებულია. „ჩვენი პირველი მისია იყო, რომ გვყოლოდა პირველი გამოშვება და კურსდამთავრებულები საქართველოში — ეს მიზანი მიღწეულია, ხოლო მეორე მიზანი იყო, რომ ჩვენი გამოცდილება გადაგვეცა პარტნიორი უნივერსიტეტებისათვის და დავხმარებოდით მათ, გავარემონტეთ ლაბორატორიები, სასწავლო ოთახები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოსალოდნელზე ადრე შეძლო საერთაშორისო აკრედიტაციის მიღება პროგრამებზე. მომავალში დაგეგმილია დანარჩენი ორი უნივერსიტეტის პროგრამებისთვის საერთაშორისო აკრედიტაციის მინიჭება“, — განაცხადა პროფესორმა ჰალილ გუვენმა.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი მაგდა მაღრაძე აღნიშნავს, რომ ABET-ისა და ACS-ის აკრედიტებული სპეციალისტები შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანები არიან. „ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც საბუნებისმეტყველო-საინჟინრო დარგში შემოდის საქართველოში და ინვესტიციას ახორციელებს, ითხოვს სწორედ ამ სერტიფიცირების და აკრედიტაციის მქონე კურსდამთავრებულებს. თსუ კი გახლავთ პირველი უნივერსიტეტი, რომელმაც საერთაშორისო აკრედიტაცია მოიპოვა“, — აღნიშნავს მაგდა მაღრაძე.

„ეს დიპლომი მოგვცემს საშუალებას, რომ მივიღოთ ისეთივე ხარისხის განათლება საქართველოში, როგორსაც მივიღებდით საზღვარგარეთ. აღარ მაქვს იმის აუცილებლობა, რომ წავიდე უცხოეთში ან სან-დიეგოში სასწავლებლად, რადგან იგივე ხარისხის განათლებას მივიღებ აქ, საქართველოში“, — აღნიშნავს თსუ-ში სან დიეგოს უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის II კურსის სტუდენტი გიორგი ბოხოჩაძე.

აშშ-სა და საქართველოს მთავრობებს შორის გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულება — ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტი — მოიცავს $34 მლნ. ბიუჯეტის უმაღლესი განათლების პროექტს. პროექტის მიზანია საქართველოში საერთაშორისო სტანდარტის საბაკალავრო პროგრამების დანერგვა საინჟინრო და საბუნებისმეტყველო დარგებში.

* * *

საქართველო გახდა 24-ე ქვეყანა, სადაც ამერიკის ქიმიური საზოგადოების (ACS) საერთაშორისო წარმომადგენლობა გაიხსნა. წარმომადგენლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განთავსდება. ეს იქნება საზოგადოების პირველი წარმომადგენლობა, რომელიც კავკასიის რეგიონში, ბალტიისპირეთისა და დსთ-ს ქვეყნებში გაიხსნა. თსუ-ს საბაკალავრო პროგრამა ქიმიაში იქნება პირველი პროგრამა საქართველოში, რომელიც ამერიკის ქიმიური საზოგადოების მიერ იქნება სერტიფიცირებული.

რითი იყო გამორჩეული 2019 წელი და რა იგეგმება მომავლისთვის?

გვესაუბრება თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე

წელს 40 000-დან ყოველმა მეოთხე აბიტურიენტმა პირველი არჩევანი თსუ-ზე გააკეთა. თსუ-ის რიგებს 5000 სტუდენტი შეემატა, რომელთა ნახევარზე მეტი გრანტის მფლობელია. პირველკურსელების დასახვედრადაც წელს გამორჩეულად მოვემზადეთ — კერძო სექტორთან თანამშრომლობით, თბილისში ჩამოვიყვანეთ დეტროიტელი არტისტი Kenny Larkin და საღამოს 8 000-ზე მეტი სტუდენტი დაესწრო. არანაკლებ საინტერესო ღონისძიებას ვგეგმავთ საახალწლოდ. თსუ-ს მოწვევით თბილისში დიჯეი და პროდიუსერი Terence Parker და Aleksandir Lawrence ჩამოდიან.

საამაყოა, რომ ჩვენს რეგიონში პირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2 საბაკალავრო პროგრამა ABET-ის აკრედიტაციას მიიღებს. ეს თსუ-ის კიდევ ერთი დიდი აღიარებაა საერთაშორისო მასშტაბით და იმ ადამიანების დიდი შრომის შედეგია, რომლებიც აღნიშნული პროგრამების განხორციელებაში არიან ჩართულნი. შედეგად, საქართველო იქნება მსოფლიოში 33-ე ქვეყანა, სადაც სტუდენტები მომავალი სასწავლო წლიდან შეძლებენ ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიისა და კომპიუტერული მეცნიერებების ABET აკრედიტებულ პროგრამებზე სწავლას. 2019 წელი კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ამბით დაგვირგვინდა: საქართველო გახდა 24-ექვეყანა, სადაც ამერიკის ქიმიური საზოგადოების (ACS) საერთაშორისო წარმომადგენლობა იხსნება, რომელიც თსუ-ში განთავსდება. შედეგად, 2020-2021 სასწავლო წელს თსუ მიღებას ACS-ის მიერ სერტიფიცირებულ ქიმიის პროგრამაზეც გამოაცხადებს. აღსანიშნავია, რომ ამავე წელს ქართულ-ფრანგული უნივერსიტეტის მხარდაჭერით აკრედიტაცია გაიარა თსუ-სა და ლიონ 2-ის ერთობლივმა სამაგისტრო პროგრამამ ტურიზმის მიმართულებით.

წელს გამორჩეულად კარგი შედეგები აჩვენეს თსუ-ელებმა ყველა მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ სტუდენტების საერთო რაოდენობიდან თსუ-ში 14% სწავლობს, ამ პროპორციის ფონზე კი რუსთაველის ფონდის სამეცნიერო გრანტების ჯამური ოდენობის 50%-ის მიმღები სწორედ ჩვენი უნივერსიტეტია. საამაყოა, რომ წელს საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატები პროფესორები რამაზ გახოკიძე



და ზაალ კოკაია გახდნენ. ვულოცავ ჩვენს ძვირფას თსუ-ელებს ამ დიდ აღიარებას. აღსანიშნავია, რომ ელსევიერის Scopus-ის ბაზის მონაცემებით, თსუ-ის თანამშრომლების ავტორობით გამოქვეყნდა 503 პუბლიკაცია. ყველაზე მაღალრეიტინგულ „Nature“ ჯგუფის ორ ჟურნალში 2019 წელს თსუ-ის პროფესორის დავით ლორთქიფანიძის ავტორობით ორი სტატია დაიბეჭდა, რომელიც პალეოანთროპოლოგიის სფეროში ახალ აღმოჩენებს ეძღვნებოდა. წლევანდელი წელი თსუ-ის არქეოლოგების აღმოჩენებითაც გამორჩეული იყო: ექსპედიციამ, პროფესორ ვახტანგ ლიჩელის ხელმძღვანელობით, კუნძულ კვიპროსზე ნაეკლესიარი აღმოაჩინა. სვანეთში კი ექსპედიციამ პროფესორ ზვიად კვიციანთან ერთად ნამოსახლარს მიაკვლია. მართლაც, საამაყოა, რომ გვყავს მეცნიერები, რომლებიც საქართველოსა და თსუ-ს მსოფლიოს აცნობენ. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს თსუ-ში გაიხსნა ევროპული აკადემიის რეგიონული ცენტრი. ეს პირველი ცენტრია ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში, რომელიც ქართველ მეცნიერებსა და სტუდენტებს ახალ სამეცნიერო შესაძლებლობებს უხსნის. ხაზგასასმელია, რომ თსუ-ში დღეისათვის 250-ზე მეტი (ეროვნული და საერთაშორისო) ფუნდამენტური და გამოყენებითი მიმართულების კვლევითი პროექტი ხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ თსუ კვლავ ინარჩუნებს პირველობას და მეოთხე წელია ერთადერთი ქართული უნივერსიტეტია თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირებაში (Times Higher Education World University Rankings). 2020 წლის გამოცემაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიოს საუკეთესო 1396 უნივერსიტეტს შორისაა. უნივერსიტეტის ყველაზე ძლიერი მხარე მისი ინტერნაციონალიზაციაა. მართლაც, თსუ ყოველწლიურად აფართოებს საერთაშორისო კავშირებს. 2019 წლის ბოლოს პარტნიორი უნივერსიტეტების რიცხვმა 250-ს გადააჭარბა, Erasmus+ საერთაშორისო მობილობის კუთხით კი თსუ რეგიონში ლიდერი უნივერსიტეტია. მიმდინარე წელს თსუ-ს მონაწილეობით ევროკავშირმა მობილობის 65 ახალი პროექტი დააფინანსა და Erasmus + პროექტების რაოდენობა 248 გახდა; 2019-2020 წლის მხოლოდ შემოდგომის სემესტრში თსუ-ის 142-მა სტუდენტმა მიიღო გრანტი საზღვარგარეთ სასწავლებლად; სანაცვლოდ, შემოდგომის სემესტრში ჩვენ ვმაპინძლობთ 44 სტუდენტს და 36 უცხოელ პროფესორს 12 ქვეყნიდან.

წელს განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების თვალსაზრისით გადადგმული ნაბიჯები. დასრულდა II კორპუსის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი; სამუშაოების დასრულების შემდეგ, შენობა ყველა საერთაშორისო სტანდარტს დააკმაყოფილებს; საჭიროებების შესაბამისად გარემონტდა არაერთი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სივრცე; რეაბილიტაცია ჩაუტარდა ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის შენობას; პროფესიული სწავლების ცენტრის ქუთაისის ფილიალს; გარემონტდა მაღლივი კოპრუსის ფოიე. ბიბლიოთეკის შენობაში გარემონტდა საგამოცდო ცენტრის ფართები, სამკითხველო დარბაზები. თსუ-ის პირველი კორპუსის ეზოში გაიხსნა „ჩაის სახლი“. სულ რამდენიმე დღის წინ გავხსენით მაღლივ კოპრუსში კაფეტერია და ძალიან მალე ბიოლოგების კორპუსშიც გაიხსნება კვების ობიექტი. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, მომავალ წელსაც არ დავიშურებთ სახსრებსა და ძალისხმევას.

2020 წელს თსუ-ის მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი ევროპული სტანდარტების შესაბამისი სტუდენტური ქალაქის მშენებლობა დაიწყება. ახლო მომავალში სტუდენტურ კამპუსში 3000-ზე მეტი ახალგაზრდის ცხოვრებისა და დასვენებისთვის ყველა აუცილებელი პირობა შეიქმნება.

მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში უკვე აისახა ხელფასების მოწესრიგებისთვის გადადგმული პირველი ნაბიჯი, რაც გულისხმობს თანამშრომელთათვის შრომის ანაზღაურების ზრდას. უნივერსიტეტის შიდა რესურსის ფარგლებში აკადემიურ პერსონალს მარტიდან, ხოლო ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს სექტემბრიდან მოემატება ხელფასი. სახელმწიფოს მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების ახალი მოდელის ამოქმედების პირობებში ანაზღაურება კვლავ გაიზრდება.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება და კომერციალიზაცია ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. 2019 წელს ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის ორგანიზებით და მოზიდული თანხებით 700-მდე სტუდენტმა გაიარა 3-დღიანი ტრენინგი მეწარმეობაში. პროექტი გაგრძელდება და მომავალ წელს კიდევ 2-ჯერ მეტ სტუდენტს ექნება მასში მონაწილეობის შესაძლებლობა. ამასთან, წელს ჩვენ #Datafest-ის ფარგლებში სტუმრების გაორმაგებული რაოდენობა მივიღეთ და დარწმუნებული ვარ, მომავალი წლისთვის ეს რიცხვი კიდევ გაიზრდება. სასიხარულოა, რომ თსუ-ში წელს მეოთხედ გაიმართა TED-ის ფორუმი. TEDxTbilisi-ის ფარგლებში თსუ-მ 9 სპიკერს და 1000-მდე ვიზიტორს უმასპინძლა.

სასწავლო, სამეცნიერო თუ ინფრასტრუქტურული სიახლეების გარდა წელსაც თსუ მრავალფეროვანი კულტურული და სპორტული ცხოვრებით გამოირჩეოდა. უნივერსიტეტის კალათბურთისა და ფუტსალის გუნდებმა კვლავ დიდი წარმატებით იასპარეზეს. თსუ-ის კალათბურთის გუნდმა სუპერლიგის პირველი წრის 10 მატჩიდან 8 მოგებით დაასრულა და ამ დროისთვის პირველ ადგილს იკავებს. თსუ-ის კაპელა კი საერთაშორისო კონკურსების გამარჯვებული გახდა. მთლიანობაში 2019 წელს 350-ზე მეტი კულტურული და სპორტული ღონისძიება გაიმართა.

საამაყოა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლიტერატურული კლუბი „93-ე აუდიტორია“ აღდგა. კლუბის წევრები ალმანახის „პირველი სხივი“ გამოცემასაც გეგმავენ.

ეს მხოლოდ ნაწილია იმ სიახლეებისა, რომლითაც 2019 წელი გამოირჩეოდა. იმედი გვაქვს, რომ მომავალი წელი კიდევ უფრო წარმატებული იქნება!

როდის და ვის აირჩევს უნივერსიტეტი ახალ კანცლერად?

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში პრეტენდენტთა რეგისტრაცია 9 დეკემბერს დაიწყო და 13 დეკემბერს დასრულდა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განცხადება მხოლოდ ერთმა კანდიდატმა — ამჯერად თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე) ლაშა საღინაძემ შეიტანა. აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსანტის დოკუმენტური მონაცემების გაცნობა და მასთან გასაუბრება განხორციელდება არაუგვიანეს 23 დეკემბრისა. კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვრა 25 დეკემბერი.

შეგახსენებთ: თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც ქალბატონმა ნუნუ ოვსიანიკოვამ 65 წლის შესრულებასთან დაკავშირებით აკადემიურ საბჭოს, პირადი განცხადების საფუძველზე, დაკავებული თანამდებობიდან მისი გათავისუფლების შესახებ მიმართა. ამ მიმართვის დაკმაყოფილებას კენჭი ეყარა 25 ნოემბერს გამართულ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე, სადაც თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ აღნიშნა: „ქალბატონ ნუნუ ოვსიანიკოვას საქმიანობა სათანადოდ უნდა დაფასდეს და ამ კუთხით შესაბამის გადაწყვეტილებას მივიღებთ“. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: გიორგი გოგსაძემ, ვლადიმერ მარგველაშვილმა და ბეჟან თუთბერიძემ, რომლებმაც სენატის სახელით მადლობა გადაუხადეს კანცლერს გაწეული საქმიანობისათვის. სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კანცლერის მოვალეობას საკონკურსო შედეგების გამოქვეყნებამდე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ამჟამინდელი მოადგილე ლაშა საღინაძე შეასრულებს.

დეკანების ახალი წელი

ამდენი წლის მერე ეს დღეც დადგა — ადმინისტრაციამ დანაპირები შეასრულა

გიორგი ღაღანიძე,
თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი:

— ახალ წელს, ტრადიციულად, ოჯახის ყველა წევრი ერთად ვხვდებით, შემდეგ დასთან მივდივართ მისალოცად. ჩემი ოჯახისთვის 1 იანვარი განსაკუთრებული თარიღია, რადგან მეუღლის დაბადებასაც ვზეიმობთ და ყველა სტუმარს დიდი სიხარულით ვუმასპინძლდებით. საახალწლო ნაძვის ხეს ოჯახის ქალები რთავენ, მე მხოლოდ მისი აწყობა მევალება. საახალწლო სუფრაც ტრადიციული გვაქვს. მეუღლე ბრწყინვალე კულინარია და საახალწლო კერძები მრავალფეროვანი და საოცრად გემრიელია. მე ამ დროს ყოველთვის ვმარხულობ და კერძების მომზადებისას ამასაც ითვალისწინებენ. 12 საათს როგორც კი ჩამოჰკრავს, ქართულ შამპანურს ვხსნით და ერთმანეთს ახალი წლის დადგომას ვულოცავთ. სანამ მამა ცოცხალი იყო, ოჯახის შეუცვლელი მეკვლე გახლდათ, გარდაცვალების შემდეგ კი ჩემი შვილები გვილოცავდნენ პირველები. ისეთი კარგი ფეხი ჰქონდათ, ყველასთვის სასურველი მეკვლეები იყვნენ. ახლა შვილიშვილები არიან ჩვენი მეკვლეები და ძალიან გვიხარია... სასიამოვნოა, როცა პატარა ბავშვი ოჯახში მეკვლედ შემოდის.

ახალი წელი ყველა დროის განსაკუთრებული დღესასწაულია. საბჭოთა კავშირში რელიგიური დღესასწაულები თითქმის აკრძალეს, მაგრამ ახალი წელი მაშინაც და ახლაც გამორჩეულია. ალბათ, გახსოვთ, თითქმის 40 წელიწადი ერთი და იგივე ფილმს „ბედის ირონია“-ს გვაჩვენებდნენ ტელევიზიით, გვინდოდა ეს თუ არა. ამ ფილმის ჩვენება თითქოს რიტუალად იქცა... განსაკუთრებული ახალი წელი 1987 წელს მქონდა, როცა დავქორწინდი. ის ახალი წლებიც დაუვიწყარია, როცა ჩემი შვილები დაიბადნენ, შემდეგ შვილიშვილებიც. საოცრად ემოციური იყო ეს ყველაფერი.

ახალი წლის შემდეგ ჩემთვის უმნიშვნელოვანესი დღესასწაული აღდგომაა, რომელსაც საოცარი განცდით და ამაღლებული განწყობით ვხვდები. მიყვარს შობაც, ოჯახის წევრების დაბადების დღეები. განსაკუთრებული თარიღია ჩემთვის 26 მაისი და 9 აპრილი — ეს დღე ჩემი თაობისთვის ბევრს ნიშნავს, რადგან ძვირი ფასი გადავიხადეთ ამ დამოუკიდებლობისათვის.

წელსაც ამაღლებული განწყობით ვხვდები ახალ წელს, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში გარკვეული პროცესები მიმდინარეობს. არ ვარ იმის მომხრე, რომ ამ მოვლენებში უარყოფითი დავინახო. პირიქით, მგონია, რომ ის, რაც ხდება, დადებითი მუხტის მატარებელია. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში დემოკრატია შედგა, გვაქვს გამოხატვის თავისუფლება. ახლა უნდა შევჯერდეთ და შევთანხმდეთ რიგ საკითხებზე. პირველ რიგში, ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ გამოხატვის თავისუფლება და ძალადობრივი ქმედება. პარლამენტის პიკეტირება სწორი არ არის, მაგრამ პარლამენტთან აქციის ჩატარება სწორია! პროტესტი ისე უნდა გამოვხატოთ, რომ სხვა არ დავაზიანოთ, სხვას ხელი არ შევუშალოთ. ნელ-ნელა ჩვენი საზოგადოება სწავლობს დემოკრატიას. არ არსებობს სახელმძღვანელო, რომელიც დემოკრატიას ასწავლის, ყველა სახელმწიფო ცდილობს იპოვოს თავისი ველი... არ არსებობს სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელი, რომელიც ზუსტად შენს ქვეყანაზე იქნება მორგებული; ნაკლებად არსებობს ალბათობა იმისა, რომ სხვა ქვეყნის წარმატებული მოდელი შენი ქვეყნისთვისაც ისეთივე სიკეთის მომტანი იქნება.

დამდეგ ახალ წელს ამაღლებული განწყობით ვხვდები, ან როგორ არ უნდა მიხაროდეს, როცა თსუ-ის რექტორმა, ბატონმა გიორგი შარვაშიძემ თსუ-ის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ხელფასების მატების მზაობა გააჟღერა. ამდენი წლის მერე ეს დღეც დადგა — ადმინისტრაციამ დანაპირები შეასრულა.

ხელისუფლებამ განათლება პრიორიტეტად გამოაცხადა და თქვა, რომ ამ მიმართულებით დაფინანსებას გაზრდის. როგორ შეიძლება ეს არ მოგეწონოს! კიდევ მახარებს ის, რომ წელს მაღლივი კორპუსის რეაბილიტაცია დაიწყო, შემოსასვლელი გაკეთდა. გარდა ამისა, რექტორისა და ადმინისტრაციის თანადგომით მაღლივი კორპუსის 3 სართულის რეაბილიტაცია იგეგმება. ამას რომ ხედავ, როგორ შეიძლება არ გიხაროდეს? სტუდენტური სივრცეების მოწყობასთან დაკავშირებით, დღეს სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებს ვხვდები. ამ სივრცეების დაგეგმარება მთლიანად მათ მივანდეთ, საკითხის გადასაწყვეტად ახალგაზრდების აზრი უფრო კომპეტენტურია. ეს სტუდენტები თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში დაიბადნენ, მათ სხვა საქართველოში არ უცხოვრიათ, დამოუკიდებელი საქართველოს იდეალებით არიან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. დამოუკიდებელ საქართველოში დაბადებული თაობა თავისუფალია კლიშეებისგან, სტიგმებისგან, თავისუფლად შემოდის დიალოგში და მარტივად აყალიბებს თავის მოთხოვნებს.

თსუ-ის პროფესორის ტრადიციულ ოჯახში გავიზარდე, სადაც ცნებები — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველო არ იყოფოდა. ერთხელ მამამ მითხრა, დაიმახსოვრე: თუ ადამიანმა თსუ-ის რექტორად ივარგა, ის ქვეყნის მეთაურობასაც შეძლებს, მაგრამ შეიძლება მაღალი თანამდებობის ადამიანმა უნივერსიტეტის რექტორობა ვერ შეძლოსო. საქართველო და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — ეს ორი მცნება ჩემთვის განუყოფელია. ჯერ კიდევ თსუ-ის დამფუძნებლებმა იცოდნენ, რომ სანამ ქვეყნის დამოუკიდებლობას გამოაცხადებ, ქვეყანაში უნივერსიტეტი უნდა არსებობდეს და აქ მიღებული ცოდნით, მეცნიერული ხედვით, სახელმწიფოებრივი აზროვნებით და მიდგომებით ქვეყნის სწორად განვითარებას უნდა ჩაუყარო საფუძველი. უნივერსიტეტი არის ბარომეტრი — თუ უნივერსიტეტი წარმატებულია, წარმატებულია ქვეყანაც. სამამულო ომის დროს დაბომბვის თავიდან აცილების მიზნით თსუ შავად შეღებეს. ხალხი იდგა და ტიროდა, რადგან ეს ნიშნავდა, რომ ქვეყანა დიდი განსაცდელის წინაშე იდგა. გამარჯვების შემდეგ, პირველი, რაც გაკეთდა, იყო ის, რომ უნივერსიტეტი ისევ თეთრად გადაღებეს, რასაც ხალხი დიდი სიხარულით და ოვაციებით შეხვდა. წარსულს თუ გადავხედავთ, ყველა დიდი ისტორიული მომენტი ყოველთვის აქ, უნივერსიტეტის ეზოში წყდება და ეს უკვე გენეტიკური კოდია!

წინასაახალწლოდ სტუდენტებს მინდა ვუსურვო ახალგაზრდული ძალისხმევის ვექტორის სწორი მიმართულებით წარმართვა. სწორედ ამაშია ჩვენი — უფროსი თაობის მისია. დღეს უკვე აღარ ვდაობთ, რომ განათლება პრიორიტეტულია. ჩვენს უნივერსიტეტს აქვს იმის პოტენციალი, რომ დიდი რაოდენობით უცხოელი სტუდენტი მოიზიდოს და ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადავდგათ...

წელს საახალწლო ზეიმი 25 დეკემბრისთვის გვაქვს დაგეგმილი

თამარ დოლბაია,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— საახალწლო განწყობა ჩემთვის ყოველთვის საზეიმოა. ელოდები ახალს, გასული წლის შედეგებს აფასებ, სამომავლო გეგმებს სახავ და გჯერა, რომ მომავალი წელი გასულზე უკეთესი იქნება. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე უკვე ტრადიციად ვაქციეთ გასული წლის განმავლობაში ჩვენი საქმიანობის შეჯამება. აქ გამართულ ზეიმზე ვაცხადებთ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, სტუდენტებს. წელს საახალწლო ზეიმი 25 დეკემბრისთვის გვაქვს დაგეგმილი. ხალისით მოვრთავთ ნაძვის ხეს, პატივით გავაცილებთ ძველ წელს და ახალი იმედებითა და გეგმებით შევხვდებით ახალს. ხანდახან თსუ-ის რექტორი და კანცლერიც მონაწილეობენ ჩვენს ზეიმში, საპატიო სტუმარიც ხშირად მოგვიწვევია.

საკუთარ სახლში როგორ ვხვდები ახალ წელს? — საახალწლო სუფრის მომზადება ჩემი პრეროგატივაა, ხოლო ოჯახის სურსათით მომარაგება ჩემი მეუღლის. ოჯახის ყველა წევრი ვართ ჩართული საახალწლო სამზადისში. ყველას ძალიან გვიხარია საახალწლო ფუსფუსი და მიკვირს, როცა ვინმეს წუწუნს ვისმენ... რაც ჩემმა უმცროსმა ვაჟმა ცოლი მოიყვანა, ნაძვის ხის მორთვა და გალამაზება რძალს მივანდეთ. ძალიან ნიჭიერი გოგოა და მოსართავ სათამაშოებს თავისი ხელითაც აკეთებს, ამიტომ ჩვენი ნაძვის ხე ყველასგან გამორჩეულია. ტრადიციულად სახლში მეორე ნაძვის ხესაც ვრთავთ — ჩემი ბავშვობის დროინდელს... ეს ნაძვის ხე თავისი ულამაზესი, ძველი სათამაშოებით უკვე ოჯახის რელიქვიაა, რომელსაც ძალიან ვუფრთხილდებით. სანამ დედა ცოცხალი იყო, ლამაზად გამოპრანჭავდა შვილიშვილებს და ხელში ნუგბარით გარეთ გაუშვებდა, სახლში მეკვლეებად რომ დაბრუნებულიყვნენ. ახლა ბავშვები გაიზარდნენ და ოჯახის მეკვლის როლს ხან ჩემი მეუღლე ირგებს და ხანაც ჩემი ბიჭები. ახალ წელს აუცილებლად სახლში ვხვდებით, ყველანი ერთად! ახალი წლის დადგომის შემდეგ კი ნათესავებს, ახლობლებს ვსტუმრობთ და ახალი წლის მობრძანებას ვულოცავთ. ჩვენი საზეიმო განწყობა მთელი კვირა გრძელდება და გვიხარია... ყოველი ახალი წელი ჩვენთვის გამორჩეულია და ამისთვის მადლობა უფალს!

ჩვენს უნივერსიტეტს წარმატებას, წინსვლას, განვითარებას ვუსურვებ და იმ ტრადიციების შენარჩუნებას, რამაც დღემდე მოგვიყვანა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს რაღაც საკრალური დატვირთვა აქვს თითოეული ქართველისთვის და მინდა, რომ ეს ხიბლი და იდუმალება კიდევ დიდხანს შეინარჩუნოს, რათა ასეთი მნიშვნელოვანი იყოს თითოეული ჩვენთაგანისთვის.

ჩემი სურვილია, უნივერსიტეტმა თავისი ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის

დიმიტრი კორძაია,
თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი:

— კიდევ ერთხელ სიამოვნებით გავიხსენებ შობა-ახალ წელთან დაკავშირებულ — სასიამოვნო ემოციებს, რომელიც წარსულიდან დღემდე მომყვება...

თბილისში, ფიქრის გორაზე გაიარა ჩემმა ბავშვობამ, დიდ ოჯახში ახალი წლის სამზადისიც იმ ტრადიციების ნაწილი იყო, რომელსაც ტიტე ბაბუა და მარიამ ბებო ამკვიდრებდნენ. პირველ შვილიშვილს, ბებია და ბაბუა განსაკუთრებით მანებივრებდნენ, მშობლები დაკავებულები იყვნენ: მამა უნივერსიტეტში ფილოსოფიის კათედრის გამგე იყო, დედა — სამედიცინო ინსტიტუტში ფილოსოფიის კათედრაზე მუშაობდა, მაგრამ ახალ წელს ყველა იცლიდა და განსაკუთრებულად ვემზადებოდით.

როგორც ყველა ქართულ ტრადიციულ ოჯახში, ჩვენთანაც კეთდებოდა გოზინაყი და საცივი... გოზინაყს ბებია აკეთებდა, მერე დედა, ახლა ჩემი მეუღლე აკეთებს, მაგრამ ყველაზე მეტად მამიდას გაკეთებული გოზინაყი მომწონდა — პატარა ბურთულები მოხალული ნიგვზით... ნაძვის ხეს ჩემს ბავშვობაში დედა რთავდა — დილით გაღვიძებულს მეუბნებოდნენ, რომ თოვლის ბაბუამ მომიტანა... მაშინ ჯერ კიდევ სანტა-კლაუსის შესახებ არაფერი ვიცოდი, მაგრამ ახალი წლის ღამეს სურვილებს ჩავუთქვამდით და მათი ასრულების გვჯეროდა... ახლა მეუღლესთან ერთად ვრთავ ნაძვის ხეს შვილებისთვის და შვილიშვილებისთვის...

ოჯახში მეკვლეს დღესაც დიდი სიხარულით ველით, მაგრამ ბავშვობაში პატარა მეკვლე მაინც სხვანაირად დამამახსოვრდა: ექვსი წლის ვიყავი, კარზე კაკუნი გაისმა და ოთახში ჩემი ბიძაშვილი ჭაბუა ჭაბუკიანი შემოვიდა ბიძაჩემთან, ოთარ ჭაბუკიანთან ერთად. ჭაბუას მხრებზე ლეჩხუმიდან ჩამოტანილი ძველი ნაბადი ჰქონდა მოხვეული და ხელში ტკბილეული ეჭირა. ძალიან კარგი შეგრძნება იყო, მას შემდეგ მეც ხშირად ვყოფილვარ მეკვლე.

სკოლის პერიოდში და სტუდენტობისას ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მეგობრებთან და ნათესავებთან მივდიოდი მეკვლედ. ტრადიციული სამოსით ახალი წლის შეხვედრის ტრადიცია სამედიცინო ინსტიტუტშიც დავამკვიდრე, განსაკუთრებული კი მაინც ის ახალი წელი იყო, როდესაც მომავალ მეუღლეს ოჯახში ვესტუმრე. დღემდე ვინარჩუნებთ ოჯახებიდან გამოყოლილ ტრადიციებს, თუმცა, ბოლო წლებში მენიუ ცოტა შეიცვალა — სუფრაზე სამარხვო კერძები ჭარბობს. განსაკუთრებულად ვხვდებით შობის დღესასწაულს,

გვ. 5

ᲓᲔᲙᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ

მე-3 გვ-დან

ტაძარში მივდივართ, ფანჯრებთან კი სანთლებს ვანთებთ.

ახალი წლის მომდევნო დღეებში მეგობრებისა და ნათესაობის მონახულებაც ერთგვარი რიტუალია.

ჩემი სურვილია, უნივერსიტეტმა იმ მაღალი ღირებულებებით გააგრძელოს ცხოვრება, როგორც მის დამაარსებლებს ჰქონდათ ჩაფიქრებული და თავისი ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის. ყველას ვუსურვებ მიზნების მიღწევას და სურვილების ასრულებას!“.

ᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐᲜ, ᲡᲘᲗᲑᲝᲡᲗᲐᲜ, ᲝᲯᲐᲮᲗᲐᲜ...

** თამარ ზარანდია,**
იურიდიული ფაკულტეტის დეკანი:

— შობასა და ახალ წელს ყველა ადამიანი ახალი იმედებითა და მოლოდინებით ხვდება. ძალიან მიყვარს ეს დღესასწაულები... მეტიც... ალბათ, ყველაზე მეტად. ეს დღეები ასოცირდება სიყვარულთან, სითბოსთან, ოჯახთან. ახალ წელს ყოველთვის სახლში ვხვდები — ჩემს ოჯახთან. სურვილები მრავალგვარია: ჯანმრთელობით დაწყებული მშვიდობითა და კეთილდღეობით დამთავრებული. ნაძვის ხეს დიდი ხნით ადრე ვრთავთ, მიყვარს ეს პროცესი, საახალწლო განწყობას ქმნის. ჩიჩილაკიც აუცილებლად გვაქვს. განსაკუთრებული ტრადიცია, ალბათ, „კუჩხას“ ტრადიციაა. ბავშვობიდან ჩვენი მეკვლე ჩემი უფროსი ძმა იყო. ახლაც მახსოვს, გარიჟრაჟზე როგორ „გადგამდნენ“ გარეთ ნახევრადმძინარეს, ხელში მეკვლის ტრადიციული თეფში ეჭირა, ზედ ელაგა: ღერღილი, ხილი (როგორც წესი ვაშლი ან მანდარინი, ოთხივე მხრიდან ხურდებით გაწყობილი), სუროს ტოტი, კვერცხი, ჩირი და კანფეტები. კარზე აკაკუნებდა, უნდა გეკითხა: — ვინ არის? (თითქოს არ ვიცოდით) — მეკვლე ვარ! გაგვცემდა პასუხს. — რა მოგაქვს? — მომაქვს სიცოცხლე, ხვავი, ბარაქა, სიხარული, სიყვარული, ჯანმრთელობა, ბედნიერება, სიკეთე... და დანარჩენი მეკვლის ფანტაზიაზე და გულუხვობაზე იყო, რას დაგვაბედებდა. თან მთელი სახლი უნდა შემოევლო და თეფშის შიგთავსი მიმოეფანტა. მთელს ამ ისტორიაში კი ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ახალი წელი ხომ ორი გვაქვს საქართველოში, გასაგები მიზეზების გამო, ბედობა კი ჩვენს ოჯახში, რატომღაც, ოთხჯერ იყო: პირველში, ორში, თოთხმეტსა და თხუთმეტ იანვარს. მახსოვს, პირველად ამის მიზეზი რომ ვიკითხე, ბაბუაჩემმა მრავლისმეტყველად მითხრა — „წესი წესიაო“. „ნამდვილი“ და „არანამდვილი“ ბედობის კვლევა აღარ ჩამიტარებია, ალბათ, უფრო იმიტომ, რომ ეს ტრადიცია რაღაცნაირად თავადაც მომწონდა — არქაული და საინტერესოა. ახლა ამ ტრადიციას მორიგეობით ჩემი ბიჭები აგრძელებენ და ისევ ოთხი „კუჩხა“ გვაქვს ოჯახში.

ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲗᲔᲠᲐᲞᲘᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲛᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲡ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘᲪ ᲒᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡ

თამარ გაგოშიძე,
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— ჩემთვის მნიშვნელოვანია შობის დღესასწაული, თუმცა ახალ წელს ახალი კალენდარული წელი იწყება და ჩვენც ახალი პროექტების დასრულება-განხორციელების იმედით ვხვდებით. ჩემი ყველა გეგმა, რა თქმა უნდა, ფაკულტეტის განვითარებას უკავშირდება. აკრედიტაციისთვის ვამზადებთ უცხოენოვან სასწავლო პროგრამას ფსიქოლოგიაში და ნელი ტემპით, თუმცა მაინც მიმდინარეობს სხვადასხვა პროექტის შემუშავება, მათ შორის ადრეული განვითარების საბაკალავრო პროგრამა, ადრეული ინტერვენციის სამაგისტრო პროგრამა, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის კომპიუტერული პროგრამა, რომელსაც IT დეპარტამენტთან ერთად ვამუშავებთ. ჩემი საახალწლო სურვილიც სწორედ ეს იქნება — ყველა ამ სამუშაოს სწრაფად და ნაყოფიერად დასრულება.

საახალწლოდ სადღესასწაულო განწყობას თსუ-ის III კორპუსში აუცილებლად შემოვიტანთ, ფოიეში მოვრთეთ ნაძვის ხე. ოკუპაციური თერაპიის სტუდენტებმა ფაკულტეტს ერთგვარი საახალწლო საჩუქარიც გაუკეთეს — ე.წ. ფერადი პუფები თავისი ხელით გააკეთეს, რომელიც კოპრუსის დერეფნებში დგას და, ასევე, მათივე დამზადებული ხის სხვადასხვა ფერის პალეტები, რომელიც ეზოში განთავსდება.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲑᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐᲨᲘ

ნანა გაფრინდაშვილი,
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— ახალი წელი ნამდვილად ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, მხიარული და ხალისიანი დღესასწაულია, რომელიც ახალ იმედებთან, სურვილების ასრულებასთან, ნაძვის ხესთან და სადღესასწაულო სუფრასთან ასოცირდება. ცოტა უცნაურია, რომ ახალი წელი ახლა უფრო მეტად მიყვარს და მეძვირფასება, ვიდრე ახალგაზრდობაში (ვინაიდან ახალგაზრდობა თავად არის ერთი დიდი და შთამბეჭდავი დღესასწაული). რაც უფრო მემატება წლები, მით უფრო მიმძაფრდება ეს გრძნობა.

ერთი სული მაქვს, როდის მოვრთავ ნაძვის ხეს. როგორც წესი, ამას დეკემბრის შუა რიცხვებში ვაკეთებ. ჩემი ნაძვის ხე დიდი და ფუმფულაა. მის მოსართავად ვიყენებ სხვადასხვა ზომის ოქროსფერ და წითელ ბურთებს და წითელ ნათურებს — ყოველგვარი ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ვამბობ, რომ ყოველთვის შეუდარებლად ლამაზი გამოდის. საათობით შემიძლია მისი ცქერა და ეს ჩემთვის განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა.

საახალწლო ტრადიციულ სუფრას, რომელიც ყველა სხვა სუფრისაგან გამორჩეულია, თავისი გოზინაყით, საცივითა და სხვა ატრიბუტებით, დედაჩემი ამზადებს, რომელიც საუკეთესო კულინარია. ვცდილობ, ჩვენი საახალწლო სუფრა არა მარტო კულინარიული თვალსაზრისით, არამედ ესთეტიკურადაც შთამბეჭდავი იყოს.

ახალი წლის განწყობას მიმძაფრებს ის ემოცია, რომ ამ დროს ყოველთვის ჩამოდის ჩემი შვილი, რომელიც უკვე 6 წელია უცხოეთში ცხოვრობს და მუშაობს. იგი ჩვენი ოჯახის შეუცვლელი მეკვლეა, რომელსაც ტკბილეულით დატვირთულ ხონჩას, რასაკვირველია, მე ვუმზადებ. ახალი წლის დადგომიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ამ ხონჩით შემოდის სახლში და მეკვლის მოვალეობას პირნათლად ასრულებს. მას ხუმრობით პირველ და დანიშნულ მეკვლეს ვეძახით. მეორე მეკვლე კი იქნება ის, ვინც 2 იანვარს პირველი გვესტუმრება.

ახალ წელს ყოველთვის შინ ვხვდებით. სუფრას დაახლოებით 11 საათზე შემოვუსხდებით, 12 საათზე ერთმანეთს ვულოცავთ ახალი წლის დადგომას. მერე ან სტუმრად მივდივართ, ან სტუმრებს ვმასპინძლობთ.

...დგება პირველი იანვრის დილა. ამ დროს, როგორც წესი, დაღლილი ვარ. ახალი წელი კი გადაიქცევა წარსულად და ეს ცოტა სევდიანია. მომავალ ახალ წლამდე საკმაოდ დიდი დრო, მთელი ერთი წელია. თუმცა, თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ზუსტად ერთ წელიწადში ისევ შევხვდებით ახალ წელს ოჯახურ წრეში ყველანი ერთად ჯანმრთელები, წარმატებულები და ბედნიერები.

ᲠᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲗᲐ ᲓᲘᲐᲚᲝ�გᲨᲘ

შერთხია ბეროშვილი

5 დეკემბერს უკრაინის საელჩომ საქართველოში თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უკრაინისტიკის ინსტიტუტის მიერ გამოცემული წიგნის — „სამოციანელები — XX საუკუნე“ პრეზენტაციას უმასპინძლა. ღონისძიებას უკრაინის ელჩი საქართველოში იგორ დოლგოვი, უკრაინის საელჩოს თანამშრომლები, უკრაინული დიასპორის წარმომადგენლები, ქართველი მწერლები და მთარგმნელები, თსუ-ის პროფესორები და სტუდენტები დაესწრნენ.

როგორც ღონისძიებაზე აღინიშნა, კრებულში „სამოციანელები — XX საუკუნე“, რომელიც თსუ-ის დაარსების 100 წლისთავს მიეძღვნა, შესულია XX საუკუნის 60-იანელთა თაობის გამორჩეული წარმომადგენლების ქართველ და უკრაინელ პოეტთა: ოთარ და თამაზ ჭილაძეების, ჯანსუღ ჩარკვიანის, დმიტრო პავლიჩკოს, ივან დრაჩის, ლინა კოსტენკოს, მიკოლა ვინგრანოვსკის, ვიტალი კოროტიჩის ლექსების თარგმანები. კრებულში დაბეჭდილია უნიკალური ფოტო მასალა ცნობილი პოეტის და მთარგმნელისა რაულ ჩილაჩავას, ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის თამაზ ჭილაძისა და საქართველოსა და უკრაინის მეცნიერებისა და კულტურის დამსახურებული მოღვაწის ოთარ ბაქანიძის არქივიდან. წიგნში, ასევე, გამოყენებულია უკრაინელი ავტორების მიერ საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსები და მათი თარგმანები. აღსანიშნავია, რომ პოეტების ლექსების უმეტესობა პირველად საგანგებოდ კრებულისთვის ითარგმნა ქართველი მთარგმნელების: გიორგი წიბახაშვილის, რუსუდან ჭანტურიშვილის, ნინო ნასყიდაშვილის, ივანე მჭედელიძის, გელა არაბულის, თამარ ბაღათურიას და სოფიო ჩხატარაშვილის მიერ, ქართულიდან უკრაინული ლექსების თარგმანები კი ივან დრაჩის, დმიტრო პავლიჩკოს და ვიტალი კოროტიჩისა და ლუდმილა გრიციკის მიერ არის ნათარგმნი. კრებულში ასევე შესულია მიკოლა ვინგრანოვსკის, როგორც სამოციანელთა ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლის, პოეზია, ასევე, ნია აბესაძის, რაულ ჩილაჩავას და ამირან ასანიძის თარგმანები.

როგორც პრეზენტაციაზე საქართველოში უკრაინის ელჩმა იგორ დოლგოვმა აღნიშნა, კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავების კუთხით ამგვარი პროექტების განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. „მოხარული ვარ, რომ უკრაინის საელჩო მასპინძლობს ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებას. თავად კიევის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის კურსდამთავრებული ვარ და ჩემთვის ამ პოეტების სახელები მხოლოდ ქრესტომათიიდან არ არის ცნობილი — მათთან ასევე მეგობრული ურთიერთობაც მაკავშირებდა. ტრადიციულად ის მეგობრობა, რომელიც ამ ორ ქვეყანას აკავშირებს, თანამედროვე სამყაროში მეტად მნიშვნელოვანია. ხშირად, როდესაც ჩვენ გლობალურ პრობლემებზე ვსაუბრობთ, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ, სამწუხაროდ, ხელოვნებას ხშირად ზიანს ვაყენებთ, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ამ მხრივ არ მოვადუნოთ ყურადღება და დავიცვათ წიგნი. ჩვენ ასევე უნდა გავუფრთხილდეთ და განვავითაროთ მთარგმნელობითი სკოლა, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობის გაღრმავებას, ამიტომ მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ კრებულის გამოცემის საქმეში“, — აღნიშნა იგორ დოლგოვმა.

გვ. 6

თსუ-ის ორი მეცნიერი ეროვნული პრემიის ლაურეატი გახდა

საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი ორი უნივერსიტეტელი მეცნიერი ზაალ კოკაია და რამაზ გახოკიძე გახდა. 27 ნოემბერს პრეზიდენტის სასახლეში გამარჯვებულებს ჯილდო საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გადასცა. ცერემონიას ასევე ესწრებოდნენ: საქართველოს ეროვნული პრემიის კომისიის წევრები, მისი თავმჯდომარე, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურ დირექტორი ზვიად გაბისონია და მოწვეული სტუმრები.

„ტვინის დაზიანების დროს ახალი ნერვული უჯრედების წარმოქმნის მექანიზმები და დაზიანებული ტვინის ღეროვანი ნერვული უჯრედებით ფუნქციური აღდგენის სტრატეგია“, — ასე ჰქვია ნაშრომთა ციკლს, რომლისთვისაც ლუნდის (შვედეთი) უნივერსიტეტის პროფესორი და თსუ-ის მოწვეული ლექტორი **ზაალ კოკაია** საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი გახდა. მეცნიერი პრემიაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ წარადგინა.

ამ ციკლზე მეცნიერები 2000 წლიდან მუშაობენ. ნაშრომები ძირითადად შვედეთში ხორციელდებოდა, მაგრამ ამ წლების განმავლობაში საქართველოდან ბევრი დოქტორანტი იყო ჩართული.

„არც ვიცოდი და არანაირი ინფორმაცია არ მქონდა ჩემი კანდიდატურის წარდგენის შესახებ. უკვე შემდეგ, მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, ბატონმა დიმიტრი კორძაიამ მითხრა, რომ ფაკულტეტი ჩემს წარდგენას აპირებდა. მიმაჩნია, რომ ეს მარტო ჩემი ჯილდო არ არის, ეს მთელი ჯგუფისთვისაა, რომელთან ერთადაც მე წლებია ვმუშაობ. თანამედროვე მეცნიერება ინდივიდუალური ვერ იქნება, განსაკუთრებით ბიომედიცინა. ამიტომ, ძალიან მიხარია, რომ ჩვენი გუნდის ხანგრძლივი შრომა ამ პრემიით დაფასდა.

ეს ჯილდო მივუძღვენი ჩემს მეგობარს, არაჩვეულებრივ ექიმსა და დიდ პატრიოტს ვაჟა გაფრინდაშვილს, რომელიც დღეს ცხინვალის საპყრობილეშია. დიდი იმედი მაქვს, რომ მთავრობა და საერთაშორისო თანამეგობრობა ყველაფერს გააკეთებს, რათა ვაჟა დროზე და უვნებელი დაგვიბრუნდეს ჩვენ და, რაც მთავარია, თავის პაციენტებს“, — თქვა ჩვენთან საუბრისას ზაალ კოკაიამ.

ციკლი უწყვეტია და მუდმივად ვითარდება. მომავალ წლებში იგეგმება ზუსტი ჩვენება იმისა, თუ რა ფუნქციას ასრულებენ გადანერგილი ნეირონები, როდესაც ნერვული რკალის ნაწილები ხდებიან. უკვე არსებობს სპეციალური მეთოდოლოგია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სპეციფიკურად გადანერგილი ნეირონების გამორთვა. როგორც ზაალ კოკაია აღნიშნავს, ყველა კვლევა არის ტრანსილაციური, ანუ მიმართულია იმ მიზნისკენ, რომ მომავალში ადამიანებში გამოიყენონ. თუმცა, თავდაპირველად, ჯერ ცხოველურ მოდელებში უნდა დასაბუთდეს ამ მოდელის ღირებულება, ეფექტურობა და უსაფრთხოება. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებენ ფიქრს ადამიანებისთვის მათ მიწოდებაზე.

* * *

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოორგანული ქიმიის მიმართულების პროფესორს **რამაზ გახოკიძეს** პრემია ნაშრომთა ციკლისათვის — „ახალი ბიოორგანული მეთოდების გამოყენების პერსპექტივები“ — გადაეცა. ნაშრომები ბოლო 10 წლის განმავლობაში იყო გამოქვეყნებული. მეცნიერი პრემიაზე საქართველოს ქიმიურმა საზოგადოებამ წარადგინა, რომლის თავმჯდომარეც პროფესორი ნოდარ ლეკიშვილი გახლავთ.

„ეს პრემია ჩემთვის ძალიან დიდი პატივია და, ამავდროულად, მოულოდნელიც. პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ, სამწუხაროდ, როიალი არ არის აწყობილიო, თორემ აუცილებლად დაუკრავდითო. ხუმრობით გეტყვით, უნდა ვეცადო — მეორედ დავიმსახურო პრემია, რათა აუცილებლად დავუკრა — ეს წახალისებაა ჩემთვის. ამ პრემიას განვიხილავ არა როგორც ჩემს აღიარებას, არამედ როგორც სახელმწიფოს ზრუნვას მეცნიერებაზე. ჩვენთვის არ არსებობს იმაზე დიდი ჯილდო, ვიდრე თანადგომა. მეცნიერს ხელი უნდა შეუწყო, რომ მისი აღმოჩენები მთელ მსოფლიოს დაეხმაროს. რა თქმა უნდა, ხელისუფლებასაც სჭირდება მეცნიერების თანადგომა, რადგან მხოლოდ მაშინ იქნება ის ძლიერი. ეს ყველა ქვეყნისა თუ იმპერიის ძლიერმა მმართველმა იცოდა. დავით აღმაშენებელი და მისი მასწავლებელი გიორგი ჭყონდიდელი ავიღოთ, ან მაკედონელი და არისტოტელე. ნაპოლეონი რომ არა, მსოფლიოს არ ეყოლებოდა ამპერი, ვოლტა, ბერტოლე, პასტერი. ნაპოლეონი ლაბორატორიებშიც კი აკითხავდა და აჯილდოებდა მეცნიერებს — ახალისებდა. ამიტომ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის“, — გვითხრა რამაზ გახოკიძემ.

რამაზ გახოკიძე საქართველოში მოღვაწეობს. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოორგანული ქიმიის კათედრის გამგეა, ასევე გახლავთ ამერიკის ქიმიური საზოგადოებისა და ევროპული ეკოლოგიური კომიტეტის წევრი.

* * *

საქართველოს პრეზიდენტმა თავის სიტყვაში თქვა, რომ ამ პრემიით სახელმწიფოს საშუალება ეძლევა, დააფასოს და ფართო საზოგადოებას სხვადასხვა დარგში მოღვაწე მეცნიერები გააცნოს. „ეს არა მხოლოდ ქართული მეცნიერების ზეიმი და ჩვენი განთქმული მეცნიერების კიდევ ერთი აღიარებაა, არამედ ჩვენი ქვეყნის ღირსებისა და წარმატების უტყუარი ნიშანია. ეს ის მოვლენაა, რომელიც ახალგაზრდა თაობას იმედით ავსებს, რომელიც გვაძლიერებს რწმენაში, რომ საქართველო დიდი შესაძლებლობების, უნიკალური ადამიანური რესურსებისა და პოტენციალის ქვეყანაა. ნიშანდობლივია, რომ დღეს ჩვენ ვაჯილდოებთ ორ ისეთ დარგსა და მიმართულებას, რომელიც ქართული წარსულიდან დღემდე მოგვყვება — მედიცინა (ტყუილად არა ვართ მედეას სამშობლო) და ეკოლოგია (ბუნების დაცვა და მასთან თანაარსებობა, ანუ ვაჟას სწავლება) და მგონია, რომ ეს ძალიან სიმბოლურია. მივესალმები კომისიის დღევანდელ არჩევანს“, — თქვა თავის სიტყვაში სალომე ზურაბიშვილმა.

სახელმწიფო პრემია 1995 წელს დაარსდა. შემდეგ იგი დაიყო და დაწესდა ეროვნული პრემია, რუსთაველისა და ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიები. წელს კომისიაში 19 განაცხადი შევიდა. პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ შესაბამისი ავტორიტეტისა და კომპეტენციის მქონე იმ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებს, შემოქმედებით ან სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც მოღვაწეობენ ხელოვნების, მეცნიერების ან/და ლიტერატურის სფეროში.

სახელმწიფო პრემიის ლაურეატებს სპეციალური სამკერდე ნიშანი, დიპლომი და 10 000 ლარის ოდენობის ფულადი ჯილდო გადაეცათ. პრემია მეცნიერს საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, იურიდიული, სამედიცინო, სიცოცხლის შემსწავლელი ან საინჟინრო მეცნიერების დარგში მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული და საყოველთაო აღიარების მქონე ნაშრომისა ან ნაშრომთა ციკლისათვის გადაეცემა.

ლიანა მარქარიანი

ჯიდევ ერთი ფურცელი ქართულ-უკრაინულ კულტურათა დიალოგში

მე-5 გვ-დან

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უკრაინისტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელის, პროფესორ ოთარ ბაქანიძის თქმით, წიგნის იდეის ავტორია ახალგაზრდა მეცნიერი სოფიო ჩხატარაშვილი. „კრებულში — „სამოციანელები“ — თავმოყრილი ქართველ და უკრაინელ პოეტთა ნაწარმოებები მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ უკრაინული ნაწარმოებების თარგმანების უმეტესობა პირველად ქვეყნდება ქართულ ენაზე. კრებული მომზადდა და გამოიცა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ნანა გაფრინდაშვილის ხელშეწყობით. მადლობა გვინდა გადავუხადოთ, ასევე, მწერლების მემკვიდრეებს, რომლებმაც უნიკალური ფოტო მასალა მოგვაწოდეს და ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს კრებულის გამოცემაში. აღსანიშნავია, რომ თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უკაინისტიკის ინსტიტუტში ეს ტრადიცია წარმატებით გრძელდება“, — აღნიშნა ოთარ ბაქანიძემ.

კრებულის შემდგენელის და რედაქტორის, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უკრაინისტიკის ინსტიტუტის უფროსი სპეციალისტის, ფილოლოგიის დოქტორის სოფიო ჩხატარაშვილის თქმით, „უკრაინისტიკის ინსტიტუტში დაარსებიდან დღემდე გამოიცემა ორენოვანი კრებულები. ახალი წიგნი რიგით 33-ე გამოცემაა. აღსანიშნავია, რომ კრებულში შეტანილი ავტორები, გარდა იმისა, რომ თავისი ეპოქის გამორჩეული წარმომადგენლები არიან, მათ მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთანაც. XX საუკუნის მეორე ნახევარში სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა „სამოციანელების“ სახელით თაობა, რომლებმაც ლიტერატურაში შემოიტანეს განსხვავებული ხედვა. მათი მოღვაწეობა ე.წ. „დათბობის პერიოდს“ დაემთხვა. ეს ის ეპოქაა, როდესაც საბჭოთა სივრცეში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის საკითხმა წინა პლანზე წამოიწია. ახალგაზრდა მწერლებს ამ თვალსაზრისითაც უმნიშვნელოვანესი მისია დაეკისრათ. „სამოციანელები“ — უკრაინული ლიტერატურის ისტორიაში ის ფენომენია, რომლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვლევა დღესაც აქტუალურია უკრაინულ ლიტერატურათმცოდნეობასა და დასავლურ სლავისტიკაში. ამიტომ ამ მწერლების შემოქმედების კვლევა და გაცნობა ორივე ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანია“, — აღნიშნა სოფიო ჩხატარაშვილმა.

უკრაინისტიკის ინსტიტუტის სპეციალისტმა, ფილოლოგიის დოქტორმა ივანე მჭედელაძემ ღონისძიებაზე აღნიშნა, რომ წიგნის და, ზოგადად, „სამოციანელების“ კვლევის იდეა სოფიო ჩხატარაშვილს 2009 წელს კიევის უნივერსიტეტში თანამედროვე უკრაინული ლიტერატურის ლექციებზე დასწრებისას გაუჩნდა. „ამ იდეისა და მისი განხორციელების მოწმე და თანაზიარი ვარ. დღევანდელ დღეს ვულოცავ ქართველ და უკრაინელ მკითხველს“, — დასძინა ივანე მჭედელაძემ.

ორენოვანი კრებულის — „სამოციანელები“ — უკრაინის საელჩოში გამართული პრეზენტაცია კიდევ ერთი ფურცელია (ამონარიდია) ქართულ-უკრაინულ ლიტერატურათა და კულტურათა დიალოგში.

2019 წლის მნიშვნელოვანი ამბები

საზოგადოებას პოზიტიური მაგალითები აკლია. ისედაც პოლიტიზირებულ და აგრესიული კამპანიებით გარშემორტყმულ გარემოში გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი" ცდილობს დადებითი ტენდენციების წარმოჩენას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რაც იმედის მომცემი შეიძლება გახდეს საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის, და არა მარტო მისთვის... მედიაში, ზოგადად, დღეს დამკვიდრებული პრინციპი – სკანდალზე და უარყოფით ინფორმაციაზე აპელირება, საზოგადოებას მუდმივ სტრესში ამყოფებს. ამ სტილს ჩვენი გაზეთი არ ირჩევს! ამჯერად გვინდა წარმოგიდგინოთ წლის განმავლობაში დეკემბრამდე უნივერსიტეტის გაზეთში თსუ-სთან დაკავშირებით ასახული ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები, რაც ჩვენი გაზეთის მკითხველს ანალიზის გაკეთების საშუალებას მისცემს – როგორი იყო 2019 წელი უნივერსიტეტის ცხოვრებაში? რა გაკეთდა? რა დაფასდა და რა გადაფასდა?

წლის მოვლენა თსუ-ში

დავით ფრანგიშვილი, აკადემია ევროპეას თბილისის რეგიონული ცენტრის დირექტორი

მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონია

24 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მნიშვნელოვანი სამეცნიერო ჰაბი — ევროპის აკადემიის (Academia Europea) თბილისის რეგიონული ცენტრი გაიხსნა. ღონისძიების ფარგლებში, ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის დაფუძნების თაობაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ევროპის აკადემიას შორის ურთიერთთანამშომლობის მემორანდუმს მოეწერა ხელი. ნორვეგიის, ბრიტანეთის, ესპანეთისა და პოლონეთის შემდეგ საქართველო არის მეხუთე ქვეყანა, სადაც ეს ცენტრი გაიხსნა. მთავარი და გამორჩეული ნიშა, რომელიც თბილისის ცენტრმა დაიკავა, არის ბიოკულტურული მრავალფეროვნების კვლევები, რომლითაც ჩვენს რეგიონს შეუძლია განსაკუთრებული სიტყვა თქვას მსოფლიო მეცნიერებაში.

2019 წელს გამოკვეთილი თსუ-ის ძლიერი მხარე

რანჟირების შედეგების ანალიზის მიხედვით, თსუ-ს ერთ ერთი ყველაზე ძლიერი მხარე საერთაშორისო ცნობადობაა. თსუ-ის პარტნიორების რიცხვი მსოფლიოს 50 ქვეყანაში 250-ს აღემატება; 2019 წლის მონაცემებით, თსუ 26 ქვეყანაში 106 პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობს Erasmus + ICM249 პროექტის ფარგლებში. ამ მონაცემებით თსუ ლიდერია საქართველოში.

* * *

უცხოელი სტუდენტების დაინტერესება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ იზრდება. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე სემესტრში, თსუ 42-მა უცხოელმა სტუდენტმა აირჩია, მათ შორის, ევროპის, ჩინეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ ამერიკის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან. ამ სტუდენტების უმრავლესობა (გარდა იმ კურსებისა, რომელიც თავისი სასწავლო პროგრამის კურსებში სჭირდებათ), როგორც უცხო ენას ქართულსაც სწავლობენ.

* * *

2018-2019 წლები თსუ-სთვის და, ზოგადად, საქართველოს უნივერსიტეტებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 6 წლიანი ავტორიზაცია მიენიჭა.

* * *

საკანონმდებო ცლილებები, რომელიც პარლამენტმა 2019 წელს მიიღო, ითვალისწინებს საუნივერსიტეტო მაუწყებლობის განხორციელების უფლებას სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ყველა უნივერსიტეტისათვის.

ამის უფლებას სახელმწიფო უნივერსიტეტებს აქამდე „მაუწყებლობის შესახებ კანონი" არ აძლევდა. ამიერიდან, ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად შეეძლება გახსნას საუნივერსიტეტო მაუწყებლობა (ტელევიზია). ეს ინიციატივა ეკუთვნის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს გიორგი შარვაშიძეს, რომლის საკანონმდებლო ინიციატივის საფუძველზეც მომზადდა „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების ახალი პაკეტი. რექტორის ამ ინიციატივის მთავარი მოტივაცია გახლდათ ტელევიზიის, როგორც სასწავლო პრაქტიკული ბაზის გამოყენება თსუ-ის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების (და ასევე სხვა ფაკულტეტების), აგრეთვე თსუ-ის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის სტუდენტთა დასპეციალებისა და ბაზარზე მათი დასაქმების მომზადებისთვის. „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული მაუწყებლობა, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების, სწავლისა და სწავლების, სამეცნიერო კვლევების, უმაღლესი განათლების სტიმულირებას და საზოგადოების ინფორმირებას უნივერსიტეტში (და ზოგადად, უმაღლესი განათლების სფეროში) მიმდინარე ამბების შესახებ მიზნად არ ისახავს მოგების მიღებას".

თსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის ორგანიზებით გამართული შეხვედრა უცხოელ სტუდენტებთან

* * *

2019 წელს დაფუძნდა რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენცია, რომელიც აერთიანებს სახელმწიფო უნივერსიტეტების ყველა რექტორს. დამფუძნებელთა სხდომაზე 2 წლის ვადით თავმჯდომარედ თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე აირჩიეს. სახელმწიფო უნივერსიტეტების რექტორები მოამზადებენ ერთობლივ საკანონმდებლო ინიციატივებსა თუ კომენტარებს და შეაჯერებენ პოზიციებს განათლების რეფორმებთან მიმართებაში.

* * *

გასულ წელს საქართველოს მთავრობამ სახელმწიფოს ბიუჯეტიდან უნივერსიტეტის II კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებისთვის 25 მილიონი ლარი გამოყო. ჩატარდა გამაგრებითი სამუშაოები, გამოიცვალა სახურავი, დამონტაჟდა გათბობის ახალი სისტემა, მოეწყო სველი წერტილები, მოწესრიგდა ფასადი, შეიცვალა ფანჯრები და ა.შ. დარჩა შიდა სამუშაოები, რაც ეტაპობრივად განხორციელდება, როგორც ამას უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში აცხადებენ. ასევე, დასრულდა მაღლივი კორპუსისა და VI კორპუსის ფოიეების კეთილმოწყობა და ცენტრალური ბიბლიოთეკის ნაწილის რეკონსტრუქცია. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ თბილისში, თსუ-ის მაღლივი კორპუსის ტერიტორიაზე 3000 სტუდენტზე გათვლილი საერთაშორისო სტანდარტის ახალი სტუდენტური ქალაქი აშენდეს.

* * *

სიახლეა ის, რომ დეკემბერში თსუ-ის მაღლივ კორპუსში კვების ახალი ობიექტი გაიხსნა. კაფეტერიის მუშაობას თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ლაშა საღინაძე თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანთან გიორგი ღაღანიძესთან ერთად გაეცნო. კვების ახალი ობიექტი თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს მოემსახურება.

გვ. 8

2019 წლის მნიშვნელოვანი ამბები

მე-7 გვ-დან

რა წარმატებებზე დგას თსუ?

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, თსუ-ის სტუდენტების მონაწილეობით, კუნძულ კვიპროსზე, სოფელ სოფტადესში ნაეკლესიარი აღმოაჩინა, რომელიც ქართველი ბერების კუნძულ კვიპროსზე მოღვაწეობას უკავშირდება. არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის, თსუ-ის პროფესორის ვახტანგ ლიჩელის თქმით, ნაეკლესიართან ერთად აღმოჩენილია შუა საუკუნეების მრავალფეროვანი დეკორატიული დეტალები, აგრეთვე, ძვ.წ. XII-VII საუკუნეების მოხატული კერამიკის ფრაგმენტები, რომაული ხანის ორი დაზიანებული ქანდაკება და ერთი კვიპროსული წარწერის მცირე ფრაგმენტი.

* * *

თსუ-ის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სვანეთში, სოფელ ბოგრეშში ძველი წელთაღრიცხვის VIII-VI საუკუნეებით დათარიღებული ნამოსახლარი აღმოაჩინა. მდინარე ენგურის ხეობას კიდევ ერთი, წინარე ანტიკური ხანის გორა ნამოსახლარი შეემატა. ექსპედიციის ხელმძღვანელის, თსუ-ის პროფესორის ზვიად კვიციანის თქმით, „ასეთი გორა ნამოსახლარი აქამდე მდინარე ენგურის ხეობაში მხოლოდ სოფელ ხაიშში, ნაკრაში, უშგულსა და ეცერში იყო, წელს კი სოფელ ბოგრეშშიც აღმოჩნდა“. მისივე ინფორმაციით, გვიანი ბრინჯაოს ხანით დათარიღებული ფენის ნაწილი მეწყერმა და საგზაო სამუშაოებმა გაანადგურა, თუმცა არქეოლოგმა იმედი გამოთქვა, რომ სამომავლო არქეოლოგიური ექსპედიცია ამ ფენასაც გამოიკვლევს.

* * *

პირველად საქართველოში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უნგრული ენისა და კულტურის შემსწავლელი კურსი გაიხსნა. უნგრეთის მთავრობის სასტიპენდიო პროგრამით, ყოველ წელს, 80 ქართველი სტუდენტი მიდის უნგრეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში სასწავლებლად. 2019 წლის ივლისში თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ

და უნგრეთის საგარეო ურთიერთობათა და ვაჭრობის მინისტრმა პიტერ სიიარტომ თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი, რომელიც თსუ-ში უნგრული ენისა და კულტურის საკითხთა სწავლებას ითვალისწინებს. მემორანდუმის თანახმად, უნივერსიტეტში უნგრულ ენასა და კულტურას შეასწავლის უნგრეთის საგარეო უწყების მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული ინსტრუქტორი. ერთწლიანი სწავლების შემდეგ უნივერსიტეტი განიხილავს პროგრამის სათანადოობასა და კრედიტების სისტემასთან ინტეგრაციის შესაძლებლობას.

* * *

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ჟურნალმა „ეკონომიკა და ბიზნესი“ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. 2019 წლის 1 თებერვლიდან ჟურნალი ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო საინფორმაციო ბაზაში ERIH PLUS (European Reference Index for the Humanities and Social Sciences) ჩაერთო. ERIH PLUS არის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ევროპის სამეცნიერო ფონდის (ESF) მონაცემთა ბაზა, რომლის ოპერირებასაც ახორციელებს ნორვეგიის სამეცნიერო კვლევების მონაცემთა ბაზის ცენტრი (NSD). ბაზაში ბიბლიოგრაფიულად ასახულია ყველა ის აკადემიური გამოცემა, რომელიც გარკვეულ მაღალ სტანდარტებს აკმაყოფილებს.

* * *

პირველად საქართველოს რეალობაში საერთაშორისო რეფერირებადი „ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი“ გამოიცა. პირველი ნომრის პრეზენტაცია 2019 წლის ივლისში გაიმართა. სამეცნიერო ჟურნალი წელიწადში ერთხელ გამოიცემა და ქართველი თუ უცხოელი ფსიქოლოგი მეცნიერების ნაშრომებს სამეცნიერო წრეებისთვის ხელმისაწვდომს ხდის. „ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური ჟურნალია, რომელიც ფსიქოლოგიის სხვადასხვა სფეროს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემებს ეძღვნება. სამეცნიერო ღირებულებისა და მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მართვის ორგანოებში ქართველი და უცხოელი მეცნიერები არიან გაწევრიანებული, მათ შორის — დიდი ბრიტანეთიდან, ავსტრიიდან და პოლონეთიდან მოწვეული სპეციალისტები. „ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი“ ქართულ-ინგლისურენოვანია. ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება შეუძლიათ მკვლევრებს მსოფლიოს მასშტაბით. ჟურნალის მეორე ნომერი 2020 წლის ივლისში გამოიცემა.

* * *

თსუ-ის საკალათბურთო გუნდმა სეზონის პირველი ტურნირი წარმატებით დაიწყო, 87:69 ანგარიშით დაამარცხა ბათუმის გუნდი და დუდუ დადიანის მემორიალური ტურნირის გამარჯვებული გახდა!

ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად თსუ-ის ცენტრფორვარდი გიორგი კორსანტია დასახელდა.

* * *

უნივერსიტეტის ფუტსალის სტუდენტურმა ნაკრებმა 2019 წლის ზაფხულში ფუტსალის სტუდენტურ ლიგაზე მოიპოვა ოქროს მედალი და საუნივერსიტეტო სივრცეში მეხუთედ დაეუფლა ყველაზე პოპულარული ჩემპიონატის თასს. ჩვენმა გუნდმა 3 ივლისს გამართულ ფინალურ მატჩში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდი 2:1 დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა! (უნივერსიტეტს ყველაზე მეტჯერ აქვს მოგებული ფუტსალის სტუდენტური ლიგა).

* * *

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა უნივერსიტეტის 101 წლის იუბილე გამარჯვებით აღნიშნეს. თსუ-ის საკალათბურთო გუნდი „თსუ-ჰიუნდაი“ ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალური ტურნირის გამარჯვებული გახდა.

* * *

„ქართველებმა გამარჯვების შანსი არც ერთ ქვეყანას არ დაუტოვეს“ — წერდა პოლონური პრესა თსუ-ის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლზე „უნივერსიტეტი“, რომელმაც საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე საუკეთესო ანსამბლის წოდება დაიმსახურა. 2019 წელს ანსამბლმა 25 ივლისიდან 18 აგვისტოს ჩათვლით რამდენიმე ფესტივალში მიიღო მონაწილეობა და სამშობლოში ჯილდოებით ხელდამშვენებული დაბრუნდა. თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ირაკლი ხარჯავანიძის ინფორმაციით, „ქორეოგრაფიული ანსამბლი „უნივერსიტეტი“ დაარსების დღიდან წარმატებით მოღვაწეობს, რასაც მოწმობს მრავალი ჯილდო, რომელიც ანსამბლმა საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ ფესტივალებზე მოიპოვა“.

2019 წლის პრიორიტეტული სიახლე

2019 წლის შემოდგომის ნაკადზე თსუ-მა 8 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე — ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი, ბიბლიოთეკარი, საბაჟო საქმე, სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა, საოფისე საქმე, ტუროპერატორი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი — სტუდენტები მიიღო. წელს თსუ-ში პროფესიულ პროგრამებზე მისაღებად საკმაოდ მაღალი კონკურენცია იყო. ერთ ვაკანტურ ადგილზე, საშუალოდ, 6 მსურველი მოდიოდა. ჩარიცხულ აპლიკანტთა შორის არიან ბაკალავრიატის, მაგისტრატურის კურსდამთავრებულები, ასევე, უკვე დასაქმებულები, რომლებსაც სურთ ახალი ცოდნის მიღება. თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის თქმით, „პროფესიული განათლება დასაქმების ყველაზე სწრაფი და სწორი გზაა“. პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის კახა ჭეიშვილის თქმით, „თსუ-ის პროფესიული პროგრამებიდან ყველაზე დიდი მოთხოვნა ტუროპერატორის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდისა და ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის სპეციალობებზე დაფიქსირდა“. უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული — თსუ-ის პროფესიული განათლების ცენტრი 2019 წლის ივნისში შეიქმნა.

გვ. 9

2019 წლის მნიშვნელოვანი ამბები

მე-8 გვ-დან

2019 წელს თსუ მეტმა სტუდენტმა აირჩია, ვიდრე შარშან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2019 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე პირველ პრიორიტეტად 10 260 აბიტურიენტმა დაასახელა. თსუ მეორე და მესამე არჩევანშიც პირველი იყო. შესაბამისად, გამოცდების გზით, წელს კიდევ უფრო გაიზარდა ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა და ეს იმ ფონზე, როდესაც, ზოგადად, მცირდება აბიტურიენტების რიცხვი ქვეყანაში. წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებზე 4946 სტუდენტი ჩაირიცხა, რაც გასულ წელთან შედარებით 514 სტუდენტით მეტია. კარგი მაჩვენებელი დაფიქსირდა სახელმწიფო სასწავლო გრანტების მოპოვების თვალსაზრისითაც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის ვალერიან გობრონიძის ინფორმაციით, სახელმწიფოს მიერ გაცემული გრანტების საერთო რაოდენობის 1/3 თსუ-ში ჩარიცხულმა სტუდენტებმა მოიპოვეს. ჩარიცხული სტუდენტების 45%-მა სახელმწიფო სასწავლო გრანტი სრული ან ნაწილობრივი ოდენობით მოიპოვა. აქედან — 397-მა სტუდენტმა 100%-იანი გრანტი მიიღო, 492-მა — 70%-იანი, 1358-მა კი 50%-იანი დაფინანსება მოიპოვა.

სტუდენტური პროექტების დაფინანსების საბჭოს წლიური დასკვნა

მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების დაფინანსების საბჭო შეიქმნა და უნივერსიტეტის მასშტაბით ყველა სტუდენტს თანაბრად მიეცა პროექტის წარდგენის საშუალება, ვითარება მაინც ასეთია: „ყველაზე მეტად, სტუდენტური თვითმმართველობა აქტიურობს. ძირითადად, მათი ორგანიზებით იმართება კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიებები. დაახლოებით 10-12 პროექტია ინდივიდუალურად სტუდენტების მიერ შემოტანილი. კვლევითი პროექტების რაოდენობა თითზე ჩამოსათვლელია და ყველა მათგანი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს ეკუთვნით. პროექტების წერის ხარისხი გაიზარდა, ბევრად უფრო გამართულია წერილობითი და სტრუქტურული თვალსაზრისით. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების კვლევითი ხასიათის პროექტებს ეტყობათ, რომ მათი პროექტი ერთი დიდი კვლევის ნაწილია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს სასიხარულო ფაქტია, მაგრამ, ამავე დროს, სამწუხაროა, რომ ამ მიმართულებით სხვა ფაკულტეტებიდან აქტივობა მინიმალურია“, — ასეთი გახლავთ სტუდენტური პროექტების საბჭოს ხელმძღვანელის თამარ გაგოშიძის დასკვნა.

2019 წლის აკადემიკოსები თსუ-დან

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ აკადემიის ახალი ნამდვილი წევრები აირჩია. არჩეული აკადემიკოსებიდან 5 მათგანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია: გეოლოგიის მიმართულებით აკადემიკოსის სტატუსი პროფესორ დავით ლორთქიფანიძეს მიენიჭა, დემოგრაფიის მიმართულებით — პროფესორ ვაჟა ლორთქიფანიძეს, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა დარგში პროფესორ რევაზ გაჩეჩილაძეს, აკადემიკოსი ნოდარ კეკელიძე ექსპერიმენტული ფიზიკის მიმართულებით აირჩიეს, „ენა, ლიტერატურა, ხელოვნება და კულტურის“ სფეროში კი აკადემიკოსი ინესა მერაბიშვილი გახდა. შეგახსენებთ, რომ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) შეიძლება აირჩიონ საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მოღვაწე მაღალი სამეცნ-იერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერი, რომელსაც საერთაშორისო დონის წვლილი აქვს შეტანილი მეცნიერების განვითარებაში“ (ამონარიდი აკადემიის წევრად არჩევის მოთხოვიდან).

2019 წლის მოულოდნელი დიდი დანაკარგი

ლეგენდები არ კვდებიან

„კანონის უზენაესობის პრინციპზე მეტად, საზოგადოების ყველა წევრისთვის, სამართლის უზენაესობა უნდა იყოს მნიშვნელოვანი“ — ხაზგასმით აღნიშნა აკადემიკოსმა ლევან ალექსიძემ რამდენიმე წლის წინ ჟურნალისტებთან საუბრისას. 70 წელზე მეტ ხანს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი თაობის სამართალმცოდნეების აღზრდისას და პრაქტიკულ სფეროში საქმიანობის დროსაც, ლევან ალექსიძის მოღვაწეობის მთავარი არსი სწორედ სამართლის უზენაესობა იყო. საერთაშორისო სამართლის ქართული სკოლის დამაარსებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აკადემიკოსი ლევან ალექსიძე 93 წლის ასაკში 2019 წელს გარდაიცვალა.

წელს პირველად ვეღარ მიულოცა პირველკურსელებს ახალი სასწავლო წლის დაწყება... წელს პირველად ვეღარ უთხრა უნივერსიტეტის წინ შეკრებილ უამრავ სტუდენტს — თუ რა ძვირფასი იყო მისთვის უნივერსიტეტი... ნოდარ ხადური წავიდა... დაწყვიტა გული ყველა მის კოლეგას. „მრავალი წოდებისა და ჯილდოს მიუხედავად, მისთვის ყველაზე ძვირფასი მაინც უნივერსიტეტის პროფესორის წოდება იყო. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია უნივერსიტეტისთვის, სტუდენტებისთვის და ქართული საზოგადოებისთვის“, — ასე გამოხატა თავისი გულისტკივილი უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ. გარდა იმისა, რომ ნოდარ ხადური თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გახლდათ, იგი უნივერსიტეტის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედკოლეგიის გამორჩეული წევრიც იყო წლების მანძილზე და დღესაც გვეძვირფასება...

გვ. 10

2019 წლის მნიშვნელოვანი ამბები

მე-9 გვ-დან

წლის ადამიანები

ალექსანდრე ცისკარიძე

წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე ცისკარიძე ევროპის აკადემიის (Academia Europaea) წევრად აირჩიეს.

* * *

თეიმურაზ ლეჟავა

თსუ-ის გენეტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი თეიმურაზ ლეჟავა ბიოლოგიური დაბერების კვლევის დარგში 2019 წლის ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად დაასახელეს. გერონტოლოგიისა და გერიატრიის საერთაშორისო ასოციაციის კონგრესზე საუკეთესო მეცნიერთა სიგელები თეიმურაზ ლეჟავასთან ერთად ინგლისელ და გერმანელ პროფესორებს გადასცეს. პროფესორ თეიმურაზ ლეჟავას ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ადამიანის გენომის კვლევები ნორმასა და პათოლოგიათა შემთხვევებში, განსაკუთრებით დაბერების გენეტიკაში. მის მიერ შექმნილია დაბერების გენეტიკური თეორია, რომელიც სამ აღმოჩენას მოიცავს, რაც სიცოცხლის გახანგრძლივების, დაბერების პათოლოგიების თავიდან აცილებისა და მკურნალობის საშუალებას ქმნის.

* * *

თენგიზ ცერცვაძე

საქართველოში აივ/შიდსის სამსახურის ფუძემდებელი, თსუ-ის ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის გენერალური დირექტორი თენგიზ ცერცვაძე ჯანმრთელობის სფეროს დაცვის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის და საქართველოს წინაშე აღმატებული ღვაწლისათვის საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა „ბრწყინვალების ორდენით“ დააჯილდოვა.

* * *

ზურაბ ჭუმბურიძე

ქართველოლოგიის დარგში შესრულებული მნიშვნელოვანი ნაშრომისთვის — ქართული ენა, დამწერლობა, ხელნაწერები“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიით დაჯილდოვდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე. გოგებაშვილის პრემია ენიჭებათ მეცნიერებს ქართული ენის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. გოგებაშვილის პრემია უკვე მესამედ გაიცა.

* * *

თამარ გაგოშიძე

თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თამარ გაგოშიძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის, დარგის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის და სტუდენტებთან აქტიური თანამშრომლობისთვის თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ უნივერსიტეტის საიუბილეო მედლით დააჯილდოვა.

* * *

გოჩა ჯაფარიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გოჩა ჯაფარიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ უნივერსიტეტის მედლით, ხოლო პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში მარიუშ მაშკიევიჩმა წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემიით (მედალი და დიპლომი) დააჯილდოვეს.

* * *


მერაბ კოკოჩაშვილი

ქართულ ფილმოგრაფიაში შეტანილი წვლილისთვის და ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისთვის თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ მერაბ კოკოჩაშვილი უნივერსიტეტის საიუბილეო მედლით დააჯილდოვა.

* * *

ქეთევან ჭკუასელი

თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებების მიმართულების პროფესორის ქეთევან ჭკუასელის ღვაწლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სათანადოდ დააფასა და სულ ცოტა ხნის წინ ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისთვის უნივერსიტეტის საიუბილეო მედალი გადასცა.

* * *

დემურ სიჭინავა

ჯემალ ხარიტონაშვილი

მიხეილ ჩიკვილაძე

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 3 პროფესორი: დემურ სიჭინავა, ჯემალ ხარიტონაშვილი და მიხეილ ჩიკვილაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით დაჯილდოვდნენ. სამივე პროფესორი არა მარტო კოლეგა პროფესორების, არამედ სტუდენტების მიერ აღიარებული და დაფასებულია. თითოეულმა მათგანმა თავისი განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ფაკულტეტის განვითარებისა და გაძლიერების საქმეში.

ახალგაზრდა ფსიქოლოგის წინასაახალწლო რჩევები

ყველა სიახლე შობა-ახალ წელს უკავშირდება. როდიდან ვიწყებთ ჯანმრთელობაზე ზრუნვას? — ახალი წლიდან! როდის უნდა გადავდგათ ნაბიჯი წლობით დასახული მიზნისკენ? — ახალი წლიდან! როდის უნდა განვაგდოთ სიზარმაცე ან გავთავისუფლდეთ ზედმეტი წონისგან? — რა თქმა უნდა, ახალი წლიდან... ეს საკრალური ახალი წელი ბევრისთვის სიახლის, იმედის, ოცნების ახდენის საწყისთან ასოცირდება. ამას ისიც ემატება, რომ იმ წამს, როგორც კი დაჰკრავს საათი თორმეტს, გინდა თუ არა, დარდი, სევდა, ეჭვი, გაუბედაობა, უიმედობა წარსულს უნდა ჩააბარო და სახეზე მხიარული ნიღაბი აიკრა... როგორ უნდა გაიკეთო ეს და აქვს თუ არა მნიშვნელობა, როგორ ხასიათზე შეხვდები ახალი წლის დადგომას, თსუ-ის განათლების ფსიქოლოგიის მიმართულების დოქტორანტი **თამარ მაღლაკელიძე** *გვესაუბრება:*

— ტრადიციულად, შობა-ახალი წელი ასოცირდება ახალი ცხოვრების დაწყებასთან, იმედებთან, ოჯახთან, საყვარელ ადამიანებთან... როგორ უნდა მივმართოთ ჩვენი თავი ამ დღესასწაულებზე დადებითი/პოზიტიური განწყობისკენ?

— ჩვენს საზოგადოებაში, და არა მხოლოდ ჩვენთან, დღესასწაულები უბრალოდ აღსანიშნი თარიღები არ არის. პირიქით, ეს არის იმედის, პოზიტივის, ბედნიერების, სიყვარულისა და სიახლოვის სიმბოლიკის მატარებელი დღეები. ამიტომაც, ყველა ვცდილობთ, ისინი ისეთი ადამიანების გარემოცვაში გავატაროთ, ვინც გვიყვარს და ვისაც ვუყვარვართ, ვისაც უპირობო პოზიტიური დამოკიდებულება აქვს ჩვენ მიმართ. ამ ყველაფრის მიზეზი კი სიყვარულის, აღიარებისა და ესთეტიკური სილამაზის ადამიანური მოთხოვნილებებია. როდესაც ჩვენი მოთხოვნილებები არ არის დაკმაყოფილებული, ჩვენ შინაგან წონასწორობას ვკარგავთ, განვიცდით დისბალანსს და ვცდილობთ მის აღდგენას.

ბალანსის აღსადგენად საჭიროა ქცევის ისე წარმართვა, რომ მოთხოვნილებები დავიკმაყოფილოთ. ამაში კი ჩვენი განწყობები გვეხმარება. ეს არის ერთგვარი მზაობა — განვახორციელოთ ესა თუ ის მიზანშეწონილი აქტიობა. მიზანშეწონილი ქცევა თავისთავად მოთხოვნილების დაკმაყოფილებისკენაა მიმართული, თუმცა, არსებობს ბევრი „მაგრამ“, თუ რატომ არ ან ვერ ახორციელებენ ადამიანები ასეთ აქტიობებს. ერთ-ერთი ფაქტორია მოტივაცია, რომელიც არ გვაქვს, რადგან ჩვენ გარეგან ფაქტორებს ვაბრალებთ მომხდარს, როგორიცაა იღბალი და ბედი და არ ვცდილობთ, ყველაფერი ჩვენი ძალისხმევით შევცვალოთ; ვფიქრობთ, რომ ამას აზრი არ აქვს, რადგან იმას, რაც ჩვენზე არ არის დამოკიდებული და უკონტროლოა, ვერ შევცვლით. რეალურად, შესაძლოა ვთქვათ, რომ იღბალი არც არსებობს და მთავარია — ადამიანს ჰქონდეს პოზიტიური დამოკიდებულება ცხოვრების, სიტუაციების, მოვლენებისა და სხვა ინდივიდების მიმართ. როდესაც ჩვენ ყველა სიტუაციის, მოვლენისა თუ პიროვნების დადებით მხარეებზე ვამახვილებთ ყურადღებას, მუდმივად ვეძებთ პოზიტივს და ვცდილობთ, მომხდარი ჩვენს სასიკეთოდ შევაფასოთ. ასეთ დროს თავს ბედნიერად ვგრძნობთ და ჩვენი თვითკმაყოფილების დონე იწევს, ვიღიმით, კარგ განწყობაზე ვართ. ამ განცდებისა და ემოციების ფონზე კი, შესაძლოა, ვიფიქროთ, რომ ბევრ რამეში „გვიმართლებს“ და „ფორტუნა ჩვენს მხარესაა“. შესაბამისად, იცვლება განწყობები და ჩვენი მოლოდინები. ეს ყველაფერი არა მხოლოდ დღესასწაულებზე, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ძალიან გვეხმარება.

რჩევის სახით შემიძლია გითხრათ — ეცადეთ, წლის ბოლომდე გაერკვეთ თქვენს მოთხოვნილებებში, თქვენი აქტიობა კი ამ მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობით გამოწვეული წონასწორობის დარღვევისკენ მიმართოთ, რათა ბალანსი დაიბრუნოთ. მაგალითად, თუ საყვარელი ადამიანების გვერდით გინდათ გაატაროთ ახალი წელი, მაგრამ მათთან უთანხმოება გაქვთ, გადადგით პირველი ნაბიჯი და სცადეთ — იქნებ, სწორედ ამას ელიან ისინი, თქვენ კი ხელიდან ბედნიერი დღესასწაულის შანსს უშვებთ? არა მხოლოდ განწყობა, არამედ ქმედებაც აუცილებელია.

თამარ მაღლაკელიძე

— წლის განმავლობაში ბევრი ნეგატივი გროვდება... შეიძლება თუ არა, ჩვენვე დავეხმაროთ ჩვენს თავს და ფსიქოლოგიურად მოვემზადოთ სიახლეებისთვის?

— ჩვენი ყოველდღიურობა ზედმეტად გადატვირთულია სიახლით, ინფორმაციით, ადამიანებით — ეს მრავალფეროვნება კი თავისთავად მოიაზრებს ნეგატივსაც, რომელიც ადამიანებში სულ უფრო მეტად გროვდება. ყველასთვის ცნობილია, რომ წონაზე მოწუწუნე ადამიანები მაქსიმალურად აჯანჯლებენ დროს და დიეტას ორშაბათიდან იწყებენ, სიახლეების მაძიებლებისთვის კი ასეთი ხელსაყრელი ორშაბათი“ სწორედ ახალი წელია. ყველამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ საკუთარ თავს ჩვენზე უკეთ ვერავინ დაეხმარება, მთავარია სწორი სტრატეგიების შერჩევა და მათი გამოყენება, თვითკონტროლი და თვითმონიტორინგის მექანიზმების ჩართვა: ქცევების რეგულირება, ემოციების კონტროლი, დაფიქრება აქტიობის განხორციელების წინ. დასვენება და შობა-ახალი წელი, ვფიქრობ, საუკეთესო პერიოდია ამისთვის. თუმცა, თუ ეს დაგროვებული ნეგატივი ადამიანზე ისე უარყოფითად აისახება, რომ მის ყველა საქმიანობას ხელს უშლის, მაშინ საკუთარ თავზე მუშაობა მას დამოუკიდებლად არ გამოუვა და საჭიროა სპეციალისტთან ვიზიტი, რომელიც სწორად დაანახებს იმ სტრატეგიების პიროვნებისთვის სასიკეთოდ გამოყენებას, რომელიც ვახსენე.

— საახალწლო რიტუალები და ჩვენ — ეხმარება თუ არა ეს რიტუალები ადამიანს, კმაყოფილი, ენერგიული და იმედიანი შეხვდეს მომავალ წელს?

— ყველაზე ქართული რიტუალი, ალბათ, ფეხბედნიერი მეკვლის წვევაა ოჯახებში. ადამიანებს სჯერათ, ვინც მათ სახლში ახალ წელს ფეხს შემოდგამს და როგორიც იქნება ეს შემოდგმული ფეხი, ისეთივე წარმატებული ან წარუმატებელი წელი ექნებათ. მეორე მხრივ რომ განვიხილოთ, ეს რწმენები რეალურად ცრურწმენებია, მოვლენებისა და სიტუაციების მიმართ ჩვენი წინასწარი დამოკიდებულებები და შეფასებები. ასე ვაფასებთ მომავალ წელსაც, თანაც, ერთგვარად ჩვენს წარუმატებლობას ისევ სხვა ფაქტორს, ამ შემთხვევაში, სხვა ადამიანს ვუნაწილებთ, ან პირიქით, წარმატებას იღბალს მივაწერთ. შესაბამისად, ეს ყველაფერი ისევ და ისევ ჩვენს კმაყოფილებასთან, იმედთან და განწყობებთან არის დაკავშირებული.

მოამზადა **მაია ტორაძემ**

„ინდაურის ეკონომიკით“ გამოწვეული წინასაახალწლო პროტესტი და ეკონომისტის მეგობრული რჩევები

როდისაა ყველაზე დიდი ფუსფუსი და ალიაქოთი ქვეყანაში? — ცხადია, შობა-ახალი წლის მოლოდინში, როცა გარდა საჩუქრებისა ძვირადღირებულ სუფრებზეც უნდა ვიზრუნოთ და მთელი წლის ნაგროვები თანხა ერთ დღეში 31 დეკემბრის ღამის 11 საათამდე გავატანოთ ქარს. რა გვაწუხებს ყველაზე მეტად? ის, რომ გოჭი საახალწლოდ ასეულ ლარებს ეთამაშება, პატივცემულმა ინდაურმა კი ძალიან გაგვიძვირა თავი.

როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა ჩვენი ოჯახის ბიუჯეტი არც ისე ხვავრიელია? პასუხი ყველამ ვიცით (საბნის შესაძლებლობის მიხედვით გაწვდენის გამოცდილება გვაქვს), მაგრამ პროფესიონალ ეკონომისტს რჩევა მაინც ვკითხეთ.

რა თქვა ამ „დილემის“ თაობაზე თსუ-ის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცორებულმა პროფესორმა **ბადრი რამიშვილმა?**

— კარგა ხანია საქართველოში დამკვიდრდა ტერმინი — „ინდაურის ეკონომიკა“, რაც ალეგორიულად სულაც არ მიუთითებს ქვეყნის ეკონომიკის მესვეურებზე (ასეთ შემთხვევაში სხვა შინაური თუ გარეული ფრინველების ხსენება უფრო მართებული იქნებოდა). ის უფრო იმ რთულ ვითარებას აღწერს, რაც საქართველოში სუსტი ეკონომიკისა და ფსევდო ტრადიციის შედეგადაა გამოწვეული. წლებია, ეს პატივცემული ფრინველი ლარის კურსის სტაბილიზება-გამყარებასთან ასოცირდება, რასაც მიმდინარე წელსაც შეიძლება დავაკვირდეთ. საახალწლო ხარჯები ასეთ ცვლილებებს რომ იწვევს, ეს ცალსახად მიუთითებს რთულ ეკონომიკურ ვითარებაზე და ასევე 1960-იანი წლებიდან საქართველოში დამკვიდრებულ ე.წ. ტრადიციაზე, რაც სუფრის, უფრო სწორად კი, ღრეობის კულტსა და ახალი წლის შესაბამისად აღნიშვნას უკავშირდება. ხაზს ვუსვამ, ეს სწორედაც რომ ფსევდო ტრადიციაა, რაც სულ რამდენიმე ათწლეულს ითვლის და რამაც იმ დროს დაჩრდილა გაცილებით დიდი ზეიმი — შობა, რაც საბჭოთა საქართველოში, ძირითადად, ღრეობის გაგრძელების მოტივით თუ ახსენდებოდა ვინმეს.

ისტორიულად ამ „ხანგრძლივი სუფრის“ საფუძველი არც საქართველოს ეკონომიკურ პროფილში და არც ქართველთა კვების კულტურაში არ მოიძიება. ვფიქრობ, ყველა ქართველმა უნდა იცოდეს მარხვის კალენდარიც, რაც მისი დაცვისკენ თუ არა, ზომიერებისკენ მაინც გვიბიძგებს. ე.წ. საახალწლო ბიუჯეტი, რაც არაპოსტსაბჭოთა ქვეყნებში საშობაო ბიუჯეტია, ძირითადად, საჩუქრების, საზეიმო აქსესუარების (საშობაო ნაძვის ხე და ა.შ.), გასართობი ღონისძიებების, სამოგზაურო ანაც სუფრის ხარჯებს მოიცავს. საქართველოში ამ უკანასკნელს, სხვა ქრისტიანული ქვეყნებისგან განსხვავებით, გაცილებით დიდი წილი უკავია ხარჯების მთლიან სტრუქტურაში. არადა ზომიერება სასიცოცხლო მნიშვნელობასაც კი იძენს. ალკოჰოლურ ინტოქსიკაციას რომ თავი დავანებოთ, ზედმეტი ნაყროვანებით გამოწვეული შოკებიც ხშირია, რასაც მეტად მძიმე პოსტსაზეიმო პერიოდიც მოჰყვება — უკეთეს შემთხვევაში, იფურჩქნება ფიტნეს-ბიზნესი, უარესში — სამედიცინო ბიზნესი, მთლად ცუდ შემთხვევაში კი... თუმცა ამისგან ღმერთმა ყველა დაიფაროს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ზრდასრული ადამიანის კვების ფიზიოლოგიური ნორმა პროფესიის, სქესისა და წონის მიხედვით, ძირითადად, 2000-3500 კკალ შორის მერყეობს, ერთი 200 გრამიანი საცივის ულუფა კი უკვე 600 კკალ-ია, იმავე რაოდენობის ხაჭაპურისა — დაახლოებით 500, ნამცხვრებმა კი ამ მაჩვენებელს შეიძლება 2-ჯერაც გადააჭარბოს. კალორიულობა სასმელსაც აქვს, ერთი ლიტრი ღვინის ენერგეტიკული ფასეულობა 600-700 კკალ-ია, არყისა და კონიაკისა კი დაახლოებით 3.5-ჯერ მეტი. ზედმეტად მირთმეული საცივი, პირდაპირის გარდა, ბიუჯეტის მეორეულ ხარჯებსაც იწვევს. პირდაპირი გასაგებია, ხოლო მეორეულში კი ფიტნეს-დარბაზების, წამლების და ა.შ. ხარჯები იგულისხმება. ანუ, როდესაც 100 ლარიან ინდაურს და 30 ლარიან ნიგოზს ყიდულობთ, უნდა გაითვალისწინოთ, რომ შესაძლოა თქვენ სახლში რამდენიმე ათას ლარიანი „განძი“ მიგაქვთ.

და, რა თქმა უნდა, საქართველოს 2020 წელს ვუსურვებ ეკონომიკური პრობლემებისა და ფსევდო ტრადიციებისგან, ინდაურს კი ლარის მხსნელის ტიტულისგან გათავისუფლებას. დაე, ახალი წლიდან ყველა ოჯახისთვის ამ პატივცემული ფრინველის სახელი ეკონომიკასთან კი არა, მხოლოდ სუფრასთან იყოს დაკავშირებული.

რევაზ ქვარცხავა: „მე უფრო ხელოსანი ვარ, ვიდრე ხელოვანი“

საქართველოში სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულების დამფუძნებელს კონფერენცია მიეძღვნა

ნატო ობოლაძე

საქართველოში სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულების დამფუძნებელს რევაზ ქვარცხავას ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი გადაეცა. პროფესორი, რომელმაც საბჭოთა კავშირის პერიოდში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ახალი მიმართულებები დანერგა, თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ დააჯილდოვა. ცერემონია რევაზ ქვარცხავას მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის — „სოციალური ფსიქოლოგიის აქტუალური საკითხები“ — გახსნაზე გაიმართა. გიორგი შარვაშიძემ რევაზ ქვარცხავას მადლობა გადაუხადა. „სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულება, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა, ბატონ რევაზს უკავშირდება. აკადემიური საზოგადოების სახელით მას გადავცემთ ყველაზე მაღალ საუნივერსიტეტო ჯილდოს. დიდი მადლობა მრავალწლიანი ღვაწლისთვის“, — მიმართა მეცნიერს თსუ-ის რექტორმა.

„ბატონმა რევაზმა ფსიქოლოგთა თაობების მთელი არმია აღზარდა. ფსიქოლოგიის ახალი მიმართულებები, რომელსაც ჩვენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გვიკითხავდნენ, მოსკოვშიც არ ისწავლებოდა. ივანე ჯავახიშვილის მედლის გადაცემა, მართალია, დაგვიანებული, მაგრამ ჩვენ მიერ გამოხატული მადლიერებაა იმ მოღვაწეობისთვის, რომელიც მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გასწია“, — განაცხადა თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა თამარ გაგოშიძემ.

„ბატონი რეზოს სტუდენტი გახლდით. იგი იყო არაჩვეულებრივი ლექტორი, მეგობარი, ყოველთვის ჩვენს გვერდზე იდგა. მიხარია, რომ დღეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე გრძელდება ის ტრადიცია, რომელიც ბატონმა რევაზმა დანერგა. 10 წელი უნივერსიტეტში ისე დავდიოდი, რომ არანაირი შტატი არ მქონდა, მაგრამ მოვდიოდი სიხარულით, რადგან აქ მხვდებოდა საინტერესო, ოჯახური გარემო, რომელიც ბატონი რეზოს დამსახურება გახლდათ“, — აღნიშნა სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულების ასოცირებულმა პროფესორმა ეკატერინე ფირცხალავამ.

„მაშინ ეს იყო სუფთა ჰაერი უნივერსიტეტში — ახალი თეორიები, ფროიდი, თანამედროვე ლიბერალური სტილი, თავისუფალი ლექციები, სადაც ფსიქოლოგების გარდა სხვა სტუდენტებიც მრავლად მოდიოდნენ. ბატონი რევაზის ლექციები ძალიან პოპულარული გახლდათ, გამოცდის მომზადებაც კი დიდ სიხარულს გვანიჭებდა. მისი კონსპექტების გაცნობა, რომელიც ინგლისურად იყო ნათარგმნი, ლექციის წაკითხვის სტილი ყველა სტუდენტს იზიდავდა“, — იხსენებს რევაზ ქვარცხავას ერთ-ერთი პირველი სტუდენტი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი დალი ბერეკაშვილი.

რევაზ ქვარცხავა 1928 წელს ზუგდიდში დაიბადა. 1944 წელს ზუგდიდის პირველი საჯარო სკოლა დაამთავრა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე ჩააბარა. თუმცა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, სწავლის შეწყვეტა მოუწია. 4 წლის შემდეგ, 1948 წელს, უმაღლესი განათლების მიღება თსუ-ის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო. 1958 წელს ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ასპირანტურაში ჩააბარა და 1968 წელს თემაზე — „ნებისყოფის პრობლემა ფსიქოლოგიაში“ დისერტაცია დაიცვა. სწორედ დისერტაციაზე მუშაობის დროს, მოსკოვში 4 თვიანი მივლინებისას გაეცნო ფსიქოლოგიის ახალ მიმდინარეობებს და, საბჭოთა იდეოლოგიური წნეხის მიუხედავად, მათი შესწავლა და ინგლისურიდან თარგმნა დაიწყო.

„გადავხედე ჩემს ცხოვრებას და ვფიქრობდი, რომ ფუჭად არ ჩაუვლია. ფსიქოლოგიაში ხელოვანი არ ვყოფილვარ, ხელოვანი შეიძლება უწოდო ისეთ მეცნიერებს, როგორიც იყო, მაგალითად, ფროიდი. მე ვიყავი ხელოსანი და რომ ვაკვირდები, ცუდი ხელოსანი არ ვყოფილვარ. იმ პერიოდში, საბჭოთა იდეოლოგიის პირობებში, ჩვენთან სოციალური ფსიქოლოგია არ არსებობდა. საკითხები, რომელსაც ეს დარგი მოიცავს, ისტორიული მატერიალიზმის ჭრილში განიხილებოდა. ჩვენ, ძირითადად, გერმანულ ფსიქოლოგიას გვასწავლიდნენ, რომელსაც საფუძველი XIX საუკუნის ბოლოს ლაიფციგის უნივერსიტეტში ვილჰელმ ვუნდტმა ჩაუყარა. მისი მოწაფე იყო დიმიტრი უზნაძე, რომელმაც საქართველოში ფსიქოლოგია განავითარა, სხვა მოწაფეებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში წაიღეს ეს ცოდნა. თუმცა, საქართველოში არსებული საბჭოთა იდეოლოგიური წნეხის პირობებში (ვგულისხმობ 1950-60-იან წლებს), სოციალურ ფსიქოლოგიაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ფსიქოლოგიის ახალი მიმართულებები, სხვათა შორის, სოციოლოგიაც ამერიკის შეერთებულ შტატებში იწყებს განვითარებას. მოსკოვში ყოფნისას გავეცანი ფსიქოლოგიაში ახალ მიმდინარეობას, საჭირო ლიტერატურაც წამოვიღე და სასწავლო კურსიც შევიმუშავე. თბილისში დაბრუნების შემდეგ სოციალურ ფსიქოლოგიასა და თანამედროვე მიმდინარეობების შესახებ ჯერ ფსიქოლოგიის ინსტიტუტში წარმადგენინეს მოხსენება, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც სასწავლო კურსის — „მოქმედების თანამედროვე თეორიები“ — წაკითხვა დავიწყე. ამ კურსში მთელი ამერიკული ფსიქოლოგია ჩავდე — ფსიქოანალიზური თეორიები, ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია, ნეობიჰევიორისტული თეორიები... ეს კურსი იმ პერიოდში მოსკოვშიც არ იკითხებოდა“, — იხსენებს რევაზ ქვარცხავა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებით ასპირანტების მიღება 1968 წელს დაიწყო. პირველი ასპირანტები შალვა აბზიანიძე და ნოდარ ბელქანია იყვნენ. ასპირანტურის გახსნის შემდეგ ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის, როგორც სპეციალობის, დანერგვაც შესაძლებელი გახდა. 80-იან წლებში სოციალური ფსიქოლოგიის კათედრაც შეიქმნა. კათედრის პირველი ოთხი წევრი იყო — რევაზ ქვარცხავა, ნოდარ ბელქანია, რამაზ საყვარელიძე და შალვა აბზიანიძე. კათედრა ნელ-ნელა გაძლიერდა, მოგვიანებით მას შეუერთდნენ გუგული მაღრაძე, ნანა სუმბაძე, ბექა თაგაური, ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკები — ზურა მხეიძე, ნინო ქაჯაია, ელზა სოლოღაშვილი, ასპირანტები — თამთა ჯაიანი, თამუნა მახარაძე, ხათუნა დოლიძე, მამუკა ელიავა, ნინო ლაღიძე, შორენა საძაგლიშვილი, ეკატერინე ფირცხალავა, ანასტასია ქიტიაშვილი, მედეა დესპოტაშვილი. რევაზ ქვარცხავა სოციალური ფსიქოლოგიის კათედრას 2002 წლამდე ხელმძღვანელობდა, 2009 წლამდე ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი იყო, 2017 წლამდე კი მოწვეული ლექტორი.

„ჩემს ცხოვრებაში ყოფნა-არყოფნის საკითხიც დამდგარა, მაგრამ ადამიანების სიყვარულმა ყველაფერი გადაწყვიტა, გადამარჩინა. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ყველას თბილი შეხვედრისთვის, ასეთი მომენტებისთვის ღირს ცხოვრება“, — აღნიშნა დაჯილდოების ცერემონიაზე ქართული სოციალური ფსიქოლოგიის სკოლის ფუძემდებელმა.

რევაზ ქვარცხავამ ახალგაზრდებსაც მიმართა რჩევით: „ის გრძნობა, რომელიც ადამიანს ცხოვრების ძალას, შემოქმედების უნარს და ხალისს აძლევს, სიყვარულია... ამიტომ, რაც უფრო მეტად გეყვარებათ ადამიანები, მით უფრო მეტი ენერგია გექნებათ“.

რევაზ ქვარცხავას დაჯილდოების ცერემონია და სამეცნიერო კონფერენცია — „სოციალური ფსიქოლოგიის აქტუალური საკითხები“ თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა.

თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას შორის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა ერთობლივ პროფესიულ და სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტებს განახორციელებენ. ამის შესახებ მემორანდუმს თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორმა ქეთევან ჯაყელმა მოაწერეს ხელი.

„თსუ-სთან თანამშრომლობა ჩვენთვის დიდი პატივია. ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების კუთხით ჩასატარებელი ტრენინგები უზრუნველვყოთ თსუ-ს ბაზაზე“, — აღნიშნა ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო სკოლის დირექტორმა ქეთევან ჯაყელმა.

ორმხრივი მემორანდუმის მიზანია ერთობლივი სამუშაო შეხვედრების, კონფერენციების, სემინარების ორგანიზება; ასევე, ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება საჯარო სექტორში მომუშავე პირთა პროფესიული განვითარებისთვის.

ვარლამ ჩერქეზიშვილის საქართველოში „დასაბრუნებლად“ უნივერსიტეტმა ღონისძიებათა ციკლი დაგეგმა

მაია ტორაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურადაა ჩართული XIX-XX საუკუნის მოღვაწის, საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე საქართველოს ინტერესების დამცველის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელის პოპულარიზაციისა და უკვდავყოფისთვის გამართულ ღონისძიებათა ორგანიზებაში. სამუშაო ჯგუფმა, რომელიც თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის ბრძანებით მიმდინარე წლის 15 მაისს შეიქმნა, უკვე რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა საერთო მიზნის მისაღწევად. კერძოდ, ამ ჯგუფის მიერ შემუშავებული პროგრამის ფარგლებში, ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელი მიენიჭა მისი მშობლიური რაიონის — ქ. საგარეჯოს ერთ-ერთ ქუჩას და სოფელ თოხლიაურის საჯარო სკოლას.

დაგეგმილ ღონისძიებათა შორის იყო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ვარლამ ჩერქეზიშვილის ხსოვნას მიეძღვნა და 7 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა.

კონფერენციაზე მეცნიერებმა 20-მდე მოხსენება წარადგინეს ვარლამ ჩერქეზიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ქართული საზოგადოების წინაშე მისი დამსახურებისა და ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან კავშირის შესახებ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა დიმიტრი შველიძემ კიდევ ერთხელ გაიხსენა ვარლამ ჩერქეზიშვილის დამსახურებები და ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ბედის ირონიით ამ ადამიანის სახელის პოპულარიზაციისთვის ახლა სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებაა საჭირო, რეალურად კი ის თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლად და თანამოაზრედ: „ვარლამ ჩერქეზიშვილი ძალიან დიდი მოღვაწე გახლდათ. იგი იყო საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, მაგრამ მთავარი ჩვენთვის ისაა, რომ იგი პირველი მათგანია, ვინც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი საზღვარგარეთ გაიტანა და იქ დაუღალავ პროპაგანდას ეწეოდა — წერდა გაზეთებში, უცხოურ გამოცემებში, მართავდა კონფერენციებს, გამოდიოდა საერთაშორისო ფორუმებზე. ვარლამ ჩერქეზიშვილი ძალიან საინტერესო საქმიანობას ეწეოდა, მაგრამ მისი მოღვაწეობა საბჭოთა პერიოდში მიჩქმალული და თითქმის აკრძალული გახლდათ. ამიტომ ამ ადამიანის ცხოვრების გაანალიზება საბჭოთა წლებში ვერ მოხერხდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ კი ვარლამ ჩერქეზიშვილის მემკვიდრეობის ინტენსიური შესწავლა დაიწყო. 2001 წელს გამოქვეყნდა ჩემი სტატია მისი ბიოგრაფიის შესახებ, ასევე, ბატონმა გოჩა ფერაძემ მიუძღვნა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ჩემი რედაქციით გამოიცა მისი თხზულებების პირველი ტომი, 2011 წელს კონფერენციაც გაიმართა მეცნიერებათა აკადემიაში, მაგრამ დღევანდელ დღეს მაინც სხვა მნიშვნელობა აქვს, რადგან აქამდე ვარლამ ჩერქეზიშვილის მოღვაწეობის შესწავლა სტიქიური და ცალკეული მეცნიერების ინიციატივა იყო. დღეს ამ მიმართულებით უკვე სხვადასხვა ნაბიჯი იდგმება, რათა ამ დიდ მოღვაწეს, რომელიც ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლად მიიჩნევა, თავისი კუთვნილი ადგილი დაუბრუნდეს ქართულ საზოგადოებაში“, — აღნიშნა დიმიტრი შველიძემ.

ვარლამ ჩერქეზიშვილი ანარქისტი იყო, მაგრამ, ამ მიმდინარეობის პრინციპებისგან განსხვავებით, იგი ქართული სინამდვილიდან ამოდიოდა და არსებულ ვითარებას არ განიხილავდა პარტიული ინტერესებიდან. მომხრე იყო ქართული სახელმწიფოებრიობის და, რა თქმა უნდა, ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა.

თბილისის სასულიერო აკადემიის პროფესორი, თსუ-ის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ელდარ ბუბულაშვილი ვარლამ ჩერქეზიშვილის მოღვაწეობის სწორედ ამ ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას და ამბობს, რომ ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში მისი დამსახურება დიდია: „საინტერესოა ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ 1899 წელს ლონდონში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული წერილი. ეს წერილი, რომელიც, ფაქტობრივად, სამეცნიერო გამოკვლევაა, ბატონმა გოჩა ფერაძემ ჩამოიტანა და თარგმნა. მასში კარგად ჩანს ბატონი ვარლამის შეხედულება ეკლესიის შესახებ. იგი კარგად ერკვევა საეკლესიო საკითხებში, საქართველოს ეკლესიას წარმოადგენს უძველესი დროიდან დღემდე და საინტერესო წყაროებს იყენებს. ჩერქეზიშვილი ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს საეკლესიო ცხოვრებას ქართველი ხალხის ისტორიაში და წარმოაჩენს ავტოკეფალიის დაკარგვით გამოწვეულ მძიმე შედეგებს. იგი სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას ავტოკეფალიის საკითხებს უკავშირებდა და მართლაც ასე იყო — 1917-1918 წლებში, როცა იგი საქართველოში ჩამოვიდა, პირდაპირ წერდა, რომ მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ ეკლესიამ მოიპოვა დამოუკიდებლობა, რასაც შემდეგ სახელმწიფოებრიობის აღდგენა მოჰყვა. ეს ძალიან საინტერესო პასაჟია მისი შემოქმედებიდან.

1906 წელს იგი ჩამოვიდა, მოიარა დასავლეთ საქართველო, შეხვდა სასულიერო პირებს, მათ შორის, ალექსანდრე ოქროპირიძეს და ძალიან საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა. შედეგად, მისი მეგობრების — ნევინსონის და დრაიჰორსტის მეშვეობით ინგლისურ და ამერიკულ პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს საერო ცხოვრების ამბები. მოგვიანებით, რეპრესიების პერიოდში, როცა სასულიერო პირების დევნა დაიწყეს, დამცველად მოევლინათ ვარლამ ჩერქეზიშვილი. მან, ოლივერ და მარჯორი უორდროპების დახმარებით, მსოფლიოს ამცნო, თუ რა მძიმე დღეში იყვნენ ქართველი სასულიერო პირები.

1910 წელს სასულიერო პირების ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა, რომ დახმარება ეთხოვათ მსოფლიო პატრიარქისთვის და შეადგინეს მიმართვის ტექსტი. ვარლამ ჩერქეზიშვილის წვლილი ამ ტექსტის შედგენასა და ადრესატამდე მიტანაშიც ვლინდება. ჩვენ ეს ტექსტი ვიპოვეთ ქართულად და ინგლისურად. ინგლისური ვარიანტი 1912 წელს ანგლიკანმა ეპისკოპოსმა დოულინგმა დაბეჭდა. როგორ მოხვდა ეს მასალა მის ხელში, არ ვიცით, მაგრამ ამაშიც, უეჭველი, ბატონი ვარლამის ხელი ურევია. ასეთი იყო ამ კაცის დიდი ღვაწლი, რომელიც მთლიანად საქართველოთი იყო გაჯერებული. როცა ის დამოუკიდებელ საქართველოში ჩამოვიდა, მთაწმინდაზე პატარა არაკომფორტული ბინა „ათხოვეს“. 1918-1921 წლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი აკაკი ჩხენკელი წერს: როდესაც შევხვდი, ვუთხარი — ვერ დაგაფასეს, ვერ მოგიარესო... ამაზე ვარლამ ჩერქეზიშვილს უპასუხია: — არა უშავს, ესენი ახალგაზრდები არიან, ნეტავ გარე ძალამ არ გაგვანადგუროს და დანარჩენს ეშველებაო“, — გვიამბო ელდარ ბუბულაშვილმა.

კონფერენციაზე ვარლამ ჩერქეზიშვილის და ქართველი ანარქისტების საქმიანობაზე ისაუბრა თსუ-ის პროფესორმა, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა ლაშა ბრეგვაძემ. მის მოხსენებაში — „სამართლის ანარქისტული თეორიები“ ითქვა, რომ ქართველი ანარქისტების საქმიანობის ძირითადი მიზანი იყო სოციალური სამართლიანობის დამყარება. „პარადოქსი არის ის, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელს გავრცელება სჭირდება საქართველოში და არა საზღვარგარეთ. იქ მას უფრო იცნობენ. არ მინდა, რომ მის მოძღვრებას მხოლოდ ისტორიულ კონტექსტში შევხედოთ, რადგან ანარქიზმი ისეთი აქტუალურია დღეს, როგორც არასდროს ყოფილა. მაგალითად, ნიუ იორკში უოლ სტრიტზე 2011 წლიდან დაიწყო

და დღესაც გრძელდება ოკუპაციის მოძრაობა, რომლის მიზანიცაა სოციალური სამართლის დამყარება. სწორედ ეს იყო ძველი ქართველი ანარქისტების მამოძრავებელი ძალაც — ებრძოლათ სოციალური სამართლიანობის დამყარებისა და რუსეთის (და შემდგომ, საბჭოთა) იმპერიის დამარცხებისთვის. ეს იყო ქართული ანარქიზმის დიდი თავისებურება, რომელმაც ის ეროვნულ მოძრაობად შეცვალა. ანარქიზმს ეს არც ერთ ქვეყანაში არ ახასიათებდა. მალე ვარლამ ჩერქეზიშვილის დაბადებიდან 175 წლისთავს აღვნიშნავთ და იმედია, ახალგაზრდობაც ბევრს შეიტყობს ამ პროცესებიდან“, — განაცხადა ლაშა ბრეგვაძემ ჩვენთან საუბარში.

კონფერენცია მისასალმებელი სიტყვით გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ვარლამ ჩერქეზიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის წარმოჩენის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა გიორგი შარვაშიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი აქტიურადაა ჩართული მსოფლიო მნიშვნელობის ქართველი მოღვაწის სახელის პოპულარიზაციისა და უკვდავყოფისთვის დაგეგმილ ღონისძიებათა ჩატარებაში: „დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა იდეა, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელი საქართველოში დაბრუნებულიყო. უნდა აღინიშნოს, რომ მის შესახებ ძალიან ცოტა მკვლევარმა იცოდა, მიუხედავად იმისა, რომ გამორჩეული და მაღალი რანგის მოაზროვნე გახლდათ. ბევრ ქვეყანაში დღემდე იციან, ვინ იყო ეს პიროვნება. მისი წიგნები არაერთ ევროპულ ენაზეა გამოცემული. ხშირად მიწევს საუბარი ჩემს კოლეგებთან იმაზე, რომ სამი დიდი ნაბიჯი, რომელიც წინა საუკუნის დასაწყისში თავისუფლებისკენ გადაიდგა, იყო ავტოკეფალიის აღდგენა, უნივერსიტეტის დაარსება და ჩვენი დამოუკიდებლობის პოლიტიკური გაფორმება. ვარლამ ჩერქეზიშვილი ყველა ამ საქმეში აქტიურად იყო ჩართული. მისი სახელის უკვდავსაყოფად ძალიან ბევრი ღონისძიება იგეგმება. უნივერსიტეტში მისი სახელობის სკოლის მოსწავლეებს მოვიწვევთ და დარწმუნებული ვარ, ბიბლიოთეკასაც მივხედავთ. მთავარი კი ისაა, რომ საზოგადოებაში აღვადგინოთ ცოდნა ამ დიდი ადამიანის შესახებ“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

საგარეჯოს საკრებულოს თავმჯდომარემ ოთარ ჩალათაშვილმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მისი რექტორის გიორგი შარვაშიძის და თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრის, კონფერენციის ორგანიზატორის გოჩა ფერაძის როლი ერის მეხსიერებაში ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელის დამკვიდრებისათვის. მან დარბაზს აცნობა, რომ ქალაქ საგარეჯოში ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელი დაერქვა.

კონფერენციას მიესალმნენ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი თეიმურაზ ჩალაბაშვილი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე დემეტრე ეგნატაშვილი, ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მანანა ცუცქირიძე, სოფელ თოხლიაურის საჯარო სკოლის პედაგოგი რუსუდან აბესაძე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, ვარლამ ჩერქეზიშვილის მოღვაწეობის მკვლევარმა და მისი სახელის პოპულარიზაციის მიზნით დაწყებულ ღონისძიებათა ინიციატორმა გოჩა ფერაძემ ჩვენთან საუბარში კიდევ ერთხელ გაიხსენა გასული საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი განმანათლებლისა და, როგორც მას თავის მოხსენებაში მწერალმა დავით ტურაშვილმა უწოდა, „საქართველოს მთავარი ადვოკატის“ ცხოვრება და მოღვაწეობა: „ყველაფერი დაიწყო ვარლამ ჩერქეზიშვილის ფერფლის მოძიებით. 1989 წელს სამართლის ცნობილმა ისტორიკოსმა, პროფესორმა გიორგი ნადარეიშვილმა მირჩია — ვარლამ ჩერქეზიშვილზე მემუშავა, ჩვენ მასზე არ გვამუშავებდნენ და იქნებ თქვენ, ახალგაზრდებმა წამოსწიოთ ეს თემაო. 1989 წელსვე დავიწყეთ მუშაობა. გავაკეთეთ დისერტაცია. 2001 წელს მოვიძიეთ მისი საფლავი და იქვე გაჩნდა იდეა, რომ გადმოგვესვენებინა და მისი კუთვნილი ქართული მიწა მიგვეგებებინა, მაგრამ ხელს გვიშლის ის, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილის ცნობადობა არის ძალიან დაბალი, მის მშობლიურ საგარეჯოს რაიონშიც კი ძალიან ცოტამ თუ იცოდა მის შესახებ. ამიტომ, ჯერ უნივერსიტეტში დავიწყეთ მოძრაობა მისი სახელის პოპულარიზებისთვის. ჩვენი მიზანი არის ერთი — თუ დაბრუნდება, ვარლამ ჩერქეზიშვილი უნდა დაბრუნდეს მისი დიდი თანამედროვის — ილიას გვერდით, რადგან, რასაც ილია აკეთებდა საქართველოში, იგივეს აკეთებდა ვარლამი საზღვარგარეთ. ამ პროცესებში გვერდით დაგვიდგა უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი გიორგი შარვაშიძე. ახლა პირველ კონფერენციას ვატარებთ და ვცდილობთ, რომ ნელ-ნელა დაბრუნდეს ეს ადამიანი. მომავალ წელს გათვალისწინებული გვაქვს უცხოელი მეცნიერების მონაწილეობაც. აქ იქნება წარმოდგენილი გერმანული, ინგლისური, ფრანგული, რუსული, ესპანური შრომები, რომელთა ერთი ნაწილი ქართულად ითარგმნა და რომლებშიც ბატონი ვარლამის ციტირება გვხვდება. თუ დასახულ მიზანს მივაღწევთ, მაშინ 2021 წელს, ვარლამ ჩერქეზიშვილის საიუბილეო 175-ე წლისთავზე, სამუშაო ჯგუფი მიმართავს საერო და საეკლესიო ხელისუფლებას, რომ მისი ფერფლის გადმოსვენების და მთაწმინდაზე დაკრძალვის ნებართვა მივიღოთ“, — გვითხრა გოჩა ფერაძემ.

კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებები წარადგინეს ისტორიკოსებმა პაატა გერგაიამ, თამარ გვიანიშვილმა, ნოდარ ჩხაიძემ, ნიკო ჯავახიშვილმა, ოთარ ჯანელიძემ, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებმა დავით გოცირიძემ და აკაკი ყულიჯანიშვილმა, ეკონომიკის დოქტორმა ნატა დავლაშერიძემ, იურისტებმა ლელა ჯანაშვილმა და გულიკო ფერაძემ, მთარგმნელმა რატი ყოლბაიამ.

ქართული საზოგადოება კარგად იცნობს კინოფილმ „ფესვებს“, რომლის სიუჟეტში სწორედ ვარლამ ჩერქეზიშვილის გარდაცვალების წინა ისტორიაა მოთხრობილი — კაცს, რომელიც თითქმის ყველა ევროპულ ენაზე თავისუფლად საუბრობდა, სიკვდილის წინ ყველა ენა დაავიწყდა ქართულის გარდა, იმ ქართულისა, რომელზეც, ფაქტობრივად, 10 წლის ასაკის შემდეგ აღარ უსაუბრია. ამ ფაქტს აღნიშნავდა თავის მოგონებაში გრიგოლ რობაქიძე: „იყო ერთი ქართველი თავადი, ანარქისტი და თავდადებული მამულიშვილი ვარლამ ჩერქეზიშვილი. ქართული მას არ ემარჯვებოდა — საქართველოს ბავშვობითგან იყო მოწყვეტილი. იცოდა რუსული, ფრანგული და ინგლისური. სიკვდილის წუთებში, როცა ადამიანის მთელი არსი შეირყევა საუკუნეთგან მოშვებული ფესვებით, მას უეცრად რუსულიც დაავიწყდა, ფრანგულიც და ინგლისურიც. მომაკვდავმა ქართულად იწყო ღუღღუღი. აი, რა ძალის არიან თირაფენები ადამიანისა, განსაკუთრებით ქართველისა“.

ოფიციალური გვერდი

№301/01-01 4.12.2019

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში — ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ„

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 372 მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“ და „პ“ ქვეპუნქტების, მე-9 პუნქტის, 322 მუხლის პირველი, მე-5 და მე-6 პუნქტების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის №63/2017 დადგენილების — „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესისა და სამეცნიერო თანამდებობების დაკავების დამატებითი პირობების დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებულია თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ოქმი №03; 23.06.2017 წ.), „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულების (ინსტიტუტების) საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 21 ნოემბრის №20/04 ერთობლივი ბრძანების, ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის გელა გელაშვილის 2019 წლის 29 ნოემბრის №23396/10 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში მეცნიერი თანამშრომლების სამსახურში მისაღებად;

2. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 4 წლის ვადით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება (რაც გულისხმობს არა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც) და გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 1 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით;

3. კონკურსი გამოცხადდეს 2019 წლის 9 დეკემბერს, საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 9 იანვრიდან 2020 წლის 16 იანვრის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად წარედგინოს თსუ რექტორს არაუგვიანეს 2020 წლის 31 იანვრისა;

4. კონკურსი გამოცხადდეს სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

კონდენსირებული გარემოს ფიზიკის განყოფილება:

მეცნიერი თანამშრომელი 2,0 საშტატო ერთეული

5. სამეცნიერო თანამდებობაზე (მეცნიერი თანამშრომელი) გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით წარუდგინოს საკონკურსო კომისიას შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე დადგენილი ფორმის მიხედვით (აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის №63/2017 დადგენილება, დანართი №2);

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პასპორტი, პირადობის მოწმობა);

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

ე) სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილების ამსახველი ინფორმაცია (მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის ჩამონათვალი, თარიღების მითითებით და არსებობის შემთხვევაში სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის შესახებ);

ვ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა ან შრომის წიგნაკის ასლი ან სხვ.);

6. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2020 წლის 9 იანვრიდან 2020 წლის 16 იანვრის ჩათვლით 10^{00}-დან 17^{00} საათამდე (შაბათ-კვირის გარდა) თსუ ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში. მისამართი: თბილისი, თამარაშვილის ქ. №6. ოთახი №411.

7. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“.

8. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

9. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო დეპარტამენტი, პერსონალის მართვის დეპარტამენტი, შიდა აუდიტის სამსახური, ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი, გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი);

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

***რექტორი* გიორგი შარვაშიძე**

№302/01-01 4.12.2019

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში — ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტში - უფროსი მეცნიერ თანამშრომლის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 372 მუხლის პირველი, მე-3 და მე-5 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის 135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“ და „პ“ ქვეპუნქტების, მე-9 პუნქტის, მე-11 პუნქტის, 322 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის №63/2017 დადგენილების — „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესისა და სამეცნიერო თანამდებობების დაკავების დამატებითი პირობების დამტკიცების შესახებ“ (დამტკიცებულია თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ოქმი №03; 23.06.2017 წ.), „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულების (ინსტიტუტების) საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 21 ნოემბრის №20/04 ერთობლივი ბრძანების, ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორის რევაზ კვატაშიძის 2019 წლის 29 ნოემბრის №23377/10 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად;

2. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 7 წლის ვადით აირჩევა პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება (რაც გულისხმობს არა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც) და გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 2 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით;

3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესითა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლით განსაზღვრულ კრიტერიუმებს საკონკურსოდ გამოცხადებული ვაკანსიის პროფილის მიხედვით.

კონკურსანტს ასევე მოეთხოვება (ვაკანსიის პროფილის მიხედვით) სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა;

4. კონკურსი გამოცხადდეს 2019 წლის 9 დეკემბერს საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 9 იანვრიდან 2020 წლის 15 იანვრის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად წარედგინოს თსუ რექტორს არაუგვიანეს 2020 წლის 22 იანვრისა.

5. კონკურსი გამოცხადდეს ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად:

ბიოტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1 საშტატო ერთეული.

6. სამეცნიერო თანამდებობაზე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით წარუდგინოს საკონკურსო კომისიას შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე დადგენილი ფორმის მიხედვით (აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის №63/2017 დადგენილება, დანართი №2);

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პასპორტი, პირადობის მოწმობა);

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

ე) სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილების ამსახველი ინფორმაცია (მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის ჩამონათვალი, თარიღების მითითებით და არსებობის შემთხვევაში სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის შესახებ);

ვ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა ან შრომის წიგნაკის ასლი ან სხვ.);

7. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2020 წლის 9 იანვრიდან 2020 წლის 15 იანვრის ჩათვლით 10^{00}-დან 17^{00} საათამდე, თსუ-ის ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტში. მისამართი: ქ. თბილისი. მინდელის ქ. 11, მე-4 სართული, ოთახი №408;

8. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“.

9. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

10. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო დეპარტამენტი, პერსონალის მართვის დეპარტამენტი, შიდა აუდიტის სამსახური, ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი, გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი);

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

***რექტორი* გიორგი შარვაშიძე**

№316/01-01 17.12.2019

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“ და „პ“ ქვეპუნქტების, მე-11 პუნქტის, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლის პირველი პუნქტის, თსუ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118 დადგენილების — „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ (დამტკიცებულია თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ოქმი №10 29.12.2014 წ.), თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №113 დადგენილების — „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ (დამტკიცებულია თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ოქმი №4 14.05.2018 წ.), „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 21 ნოემბრის №20/04 ერთობლივი ბრძანების, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თამარ გაგოშიძის 2019 წლის 5 დეკემბრის №23861/26 და 12 დეკემბრის №24378/26 წერილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის პროფესორად 10 (ათი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

3. კონკურსი გამოცხადდეს 2019 წლის 18 დეკემბერს, საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 20 იანვრიდან 2020 წლის 30 იანვრამდე საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2020 წლის 2 მარტისა;

4. კონკურსი გამოცხადდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

ფსიქოლოგიის დეპარტამენტი — კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტი (დევიაციური ქცევისა და იურიდიული ფსიქოლოგიის სფერო)

პროფესორი — ერთი საშტატო ერთეული („ა“ კატეგორია)

5. პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, (ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა/შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი; ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი;

თ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია.

6. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2020 წლის 20 იანვრიდან 2020 წლის 30 იანვრამდე 9^{30}-დან 18^{00} საათამდე, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. 11; თსუ-ის მე-3 კორპუსი, ოთახი №108;

7. პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი, კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვალდებულია გაეცნოს თსუ აკადემიური საბჭოს №113/2018 დადგენილების დანართი 1-ის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს, წერილობით გამოხატოს თანხმობა მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აფილირების შესახებ (რაც ძალაში შევა მის მიერ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის დაკავებისთანავე) და დაადასტუროს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არ გააჩნია ძალაში მყოფი ანალოგიური ხასიათის დოკუმენტი (ხელშეკრულება, შეთანხმება ან სხვ.) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

8. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“;

9. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

10. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო დეპარტამენტი, შიდა აუდიტის სამსახური, პერსონალის მართვის დეპარტამენტი, გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“; საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი);

11. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

***რექტორი* გიორგი შარვაშიძე**

№318/01-01 4.12.2019

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევით ერთეულის — პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში — უფროსი მეცნიერ თანამშრომლების და მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, №372 მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“ და „პ“ ქვეპუნქტების, მე-9 და მე-11 პუნქტის, 32^2 მუხლის პირველი, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის №63/2017 დადგენილების „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესისა და სამეცნიერო თანამდებობების დაკავების დამატებითი პირობების დამტკიცების შესახებ“ (დამტკიცებულია თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ოქმი №03; 23.06.2017 წ.), „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულების (ინსტიტუტების) საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 21 ნოემბრის №20/04 ერთობლივი ბრძანების და პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის რამაზ აბესაძის 2019 წლის 12 დეკემბრის №24314/10 წერილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომლების და მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად;

2. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 7 წლის ვადით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება (რაც გულისხმობს არა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც) და უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 2 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით;

3. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 4 წლის ვადით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო — კვლევითი საქმიანობის გამოცდილება (რაც გულისხმობს არა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც) და უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 1 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით;

4. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის და მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო- კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესითა და სამეცნიერო თანამდებობების დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლით განსაზღვრულ კრიტერიუმებს საკონკურსოდ გამოცხადებული ვაკანსიის პროფილის მიხედვით.

კონკურსანტს ასევე მოეთხოვება (ვაკანსიის პროფილის მიხედვით)

ა) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — დანართი №1-ის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული 2 რეიტინგული პუბლიკაციის გარდა, დამატებით 1 რეიტინგული პუბლიკაცია.

ბ) მეცნიერი თანამშრომელი — დანართი №1-ის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული

1 რეიტინგული პუბლიკაციის გარდა, დამატებით 1 რეიტინგული პუბლიკაცია.

5. კონკურსი გამოცხადდეს 2019 წლის 20 დეკემბერს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 21 იანვრიდან 24 იანვრის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო კომისიის შემადგენელი ოქმი დასამტკიცებლად წარედგინოს თსუ რექტორს არაუგვიანეს 2020 წლის 14 თებერვლისა.

6. კონკურსი გამოცხადდეს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომლების სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად:

ა) მაკროეკონომიკის, მდგრადი განვითარებისა და ფინანსების განყოფილება

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (7 წლის ვადით) — 1 საშტატო ერთეული

ბ) ბიზნესის პრობლემათა კვლევის განყოფილება:

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (7 წლის ვადით) — 1 საშტატო ერთეული

გ) საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განყოფილება:

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (7 წლის ვადით) — 1 საშტატო ერთეული

7. კონკურსი გამოცხადდეს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

ა) სექტორული და რეგიონული ეკონომიკის განყოფილება:

მეცნიერი თანამშრომელი (4 წლის ვადით) — 0,5 საშტატო ერთეული

8. სამეცნიერო თანამდებობებზე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერი თანამშრომელი) გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით წარუდგინოს საკონკურსო კომისიას შემდეგი დოკუმენტაცია: ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე დადგენილი ფორმის მიხედვით (აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის №63/2017 დადგენილება, დანართი №2);

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პასპორტი, პირადობის მოწმობა);

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

ე) სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილების ამსახველი ინფორმაცია (მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის ჩამონათვალი, თარიღების მითითებით და არსებობის შემთხვევაში სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის შესახებ);

ვ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა ან შრომის წიგნაკის ასლი ან სხვ.);

9. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2020 წლის 21 იანვრიდან 24 იანვრის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა). 10^{00}-დან 17^{00} საათამდე, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში. მისამართი: თბილისი, გ. ქიქოძის ქ. №14 პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, სართული, ოთახი №10.

10. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“.

11. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

12. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო დეპარტამენტი, პერსონალის მართვის დეპარტამენტი, შიდა აუდიტის სამსახური, გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი).

13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

***რექტორი* გიორგი შარვაშიძე**

თამაზ ჭელიძე 85

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, ფიზიკა-მათემატიკისა და ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ თამაზ ჭელიძეს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა.

ძალზედ რთულია სრულად და ამომწურავად შეფასდეს ბატონი თამაზის ღვაწლი გეოფიზიკური მეცნიერების განვითარებაში. მთელი მისი ცხოვრება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურებოდეს მეცნიერი დაუღალავი შემოქმედებითი შრომით ქვეყანას, მშობლიურ ხალხს. ბატონმა თამაზმა განუზომელი წვლილი შეიტანა ქართულ, ეროვნულ გეოფიზიკურ მეცნიერებაში ახალი მიმართულებების შექმნისა და აღორძინების საქმეში.

მრავალმხრივია თ. ჭელიძის პროფესიული აქტიობა. იგი წარმატებული პროფესიონალია როგორც ექსპერიმენტულ, ისე თეორიულ კვლევებში. შორს წაგვიყვანს იმ სამეცნიერო მიმართულებების ჩამონათვალი, რითაც სახელი გაითქვა ცნობილმა ქართველმა გეოფიზიკოსმა. ესენია: არაერთგვაროვანი გარემოს ფიზიკა (დედამიწის ქერქის ქანები, გრანულირებული, კოლოიდური და ბიოლოგიური სისტემები), გეოეკოლოგია, ზედაპირული ფიზიკა-ქიმიური პროცესები, ძიებითი გეოფიზიკა და არქეოგეოფიზიკა, პერკოლაციის და მყარი სხეულების რღვევის ფრაქტალური მოდელები, დრეკადობა და სეისმურობა, მიწისქვეშა წყლების სეისმოჰიდრავლიკა, არაწრფივი დინამიკა გეოფიზიკაში, გეოთერმია, სეისმური რისკის შეფასება და მიწისძვრების პროგნოზი.

თამაზ ჭელიძე დაიბადა 1934 წლის 24 დეკემბერს ქ. ქუთაისში. მშობლები — ლუკა ჭელიძე და ლუბა დარჩია — ცნობილი მეცნიერები და პედაგოგები იყვნენ. მან 1952 წელს ოქროს მედლით დაამთავრა ქუთაისის ვაჟთა მეცხრე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1957 წელს გეოლოგ-გეოფიზიკოსის სპეციალობით. სწორედ ამ დროიდან იწყება მისი საქმიანობა მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტში.

თამაზ ჭელიძე 1957 წელს დუშეთის სეისმური სადგურის გამგის თანამდებობა ეკავა. 1958 წლიდან ის გეოფიზიკის ინსტიტუტის ქანების ფიზიკის განყოფილების ჯერ უმცროსი, შემდეგ უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ხოლო 1976 წლიდან განყოფილების გამგეა. 1985 წლიდან თამაზ ჭელიძე გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო დარგში, ხოლო 1992-2006 წლებში — ინსტიტუტის დირექტორი. 2006 წლიდან დღემდე ის არის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და გამოყენებითი და ექსპერიმენტალური გეოფიზიკის სექტორის ხელმძღვანელი.

1964 წელს თამაზ ჭელიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე „ქანების ელექტრული პარამეტრების ველის სიხშირეზე დამოკიდებულების საკითხისათვის“, ხოლო 1975 წელს კიევში დაცულ სადოქტორო დისერტაციის „ზედაპირული ეფექტები ჰეტეროგენური სისტემების დიელექტრიკულ სპექტროსკოპიაში“ საფუძველზე მას ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. შემდგომი ინტენსიური კვლევების წარმატებული შედეგი იყო 1985 წელს მოსკოვში, დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტში წარდგენილი ახალი თემა „პერკოლაციის მოდელები რღვევის ფიზიკაში“, რომლის საჯარო დაცვის შედეგად ბ-ნ თამაზს ერთხმად მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1990 წელს ბატონი თამაზი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად აირჩიეს. 1997 წლიდან იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ხოლო 2013 წლიდან ნამდვილი წევრია.

მის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებმა ელექტრული სპექტროსკოპიის დარგში საფუძველი ჩაუყარა დედამიწის ქერქის პეტროფიზიკური მოდელის შექმნას. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თ. ჭელიძემ ისეთი არაერთგვაროვანი სისტემების ელექტრულ თვისებათა კვლევებში, როგორიცაა ბიოლოგიური ქსოვილები, კერძოდ სისხლი. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს თამაზ ჭელიძის გამოკვლევების ციკლი, რომელიც ეხება მყარი სხეულების რღვევის სტატისტიკურ პროცესებს და მიწისძვრების კერის ფიზიკას, რომელშიც შემოთავაზებულია რღვევის ახალი პერკოლაციური მოდელი. მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ამ მოდელის საფუძველზე დაამუშავა ბატონმა თამაზმა ამჟამად ფართოდ გავრცელებული სეისმური კრიტიკულობის თეორია. თ. ჭელიძისა და თ. მაჭარაშვილის კვლევები სეისმურობის არაწრფივი დინამიკის დარგში გამოქვეყნებულია Springer-ის (2010-2015) და Elsevier-ის გამომცემლობების მონოგრაფიებში. 1990-1995 წლებში თ. ჭელიძის ხელმძღვანელობით აიგო საქართველოს ზოგადი სეისმური დარაიონების ახალი რუკა. 1999 წელს საქართველოს მშენებლობის სამინისტრომ ეს რუკა მიიღო როგორც ნორმატიული დოკუმენტი.

1995 წელს ბატონმა თამაზმა ჩამოაყალიბა ევროსაბჭოსთან არსებული ქართულ-ევროპული ცენტრი „მაღლივი კაშხლების გეოდინამიკური რისკი“, რომლის უცვლელი დირექტორიც გახლავთ დღემდე. თ. ჭელიძის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს უწყვეტი მონიტორინგი ენგურჰესის კაშხალზე; იგი თანამშრომლებთან ერთად იკვლევს სეისმური პროცესის დინამიკას კავკასიაში.

დიდი წვლილი მიუძღვის ბ-ნ თამაზს 170 წლოვანი ისტორიის მქონე დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორიის თანამედროვე მაგნიტური ხელსაწყოებით აღჭურვის საქმეში. სწორედ მისმა, როგორც ცნობილი მეცნიერის, ავტორიტეტმა მოუტანა ამ სამეცნიერო ერთეულს საერთაშორისო მნიშვნელობა.

ბ-ნი თამაზის ხელმძღვანელობით გეოფიზიკის ინსტიტუტში 2016 2018 წლებში შესრულდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გამოყენებითი კვლევების სამეცნიერო საგრანტო პროექტი „მეწყრების მონიტორინგის და ადრეული შეტყობინების ეკონომიური ტელემეტრული სისტემის შექმნა“. გრანტის ფარგლებში შექმნილ ადრეული შეტყობინების სისტემას (აშს) რეალურ დროსთან მიახლოებულ რეჟიმში შეუძლია ინფორმაციის გადმოცემა მეწყრული უბნიდან. სისტემის ეკონომიურობა განაპირობებს ყველა მნიშვნელოვან კრიტიკულ უბანში მისი განთავსების შესაძლებლობას. სისტემის გამოყენების ესოდენ ფართო არეალი კი ჩვენი ქვეყნისთვის (და არა მარტო ჩვენი ქვეყნისთვის) მეტად მნიშვნელოვანია. ბ-ნი თამაზის ხელმძღვანელობით შექმნილი ადრეული შეტყობინების სისტემით დაინტერესდა საქართველოს ინოვაციების გადაცემის სააგენტო (GITA) და მსოფლიო ბანკი, რომლებთან ერთად მიმდინარეობს აღნიშნული სისტემის წარმოებასთან (კომერციალიზაციასთან) დაკავშირებული სამუშაოები.

თ. ჭელიძეს მჭიდრო კოლეგიალური დამოკიდებულება აქვს უცხოელ მეცნიერებთან (საფრანგეთი, აშშ, გერმანია, ჩეხეთი, რუსეთი, საბერძნეთი, იტალია, იაპონია); სწორედ ამ ურთიერთთანამშრომლობის შედეგია არა ერთი საერთაშორისო პროექტი, სადაც იგი ხელმძღვანელობდა ან მთლიანად პროექტს, ან საქართველოდან მონაწილე ჯგუფებს. მისი ავტორობითა და თანაავტორობით გამოქვეყნებულია 300-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები და სამეცნიერო-პოპულარული ბროშურები. ბატონ თამაზს მოპოვებული აქვს მრავალი საერთაშორისო, ინდივიდუალური და ეროვნული სამეცნიერო ცენტრის გრანტი.

გარდა მრავალმხრივი სამეცნიერო კვლევებისა, თ. ჭელიძე დიდ საორგანიზაციო მოღვაწეობასაც ეწევა. მისი უშუალო მონაწილეობით დაარსდა გეოფიზიკური საზოგადოება, რომლის უცვლელი პრეზიდენტია.

გეოფიზიკის ინსტიტუტის თითოეული თანამშრომლისთვის უდიდესი სიამოვნების მომტანია ამ სასიქადულო მამულიშვილთან ყოველდღიური ურთიერთობა.

ღვაწლმოსილი მეცნიერი გახლავთ შესანიშნავი მეოჯახე სამაგალითო მეუღლე, მზრუნველი მამა, უსაყვარლესი ბაბუა და დიდი ბაბუა.

ვულოცავთ სახელოვან მეცნიერსა და შესანიშნავ პიროვნებას ბატონ თამაზ ჭელიძეს დაბადებიდან 85 წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ და ბედნიერ სიცოცხლეს ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ.

ნუგზარ ღლონტი,
თსუ-ის მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

საახალწლო სტუდენტური სურვილების ხე

სტუდენტობა ყველასთვის განსაკუთრებული პერიოდია. ცხოვრების ამ ეტაპზე სურვილებს და ოცნებებს რა დალევს, თუმცა, დღევანდელი ახალგაზრდობა, როგორც ამბობენ, „სხვანაირად მოტივირებულია“. ისინი, თითქოს, წინა თაობასთან შედარებით უფრო პრაქტიკულები არიან და თავიანთი ოცნებების განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე მეტად მიზანდასახულები ჩანან. შობა და ახალი წელი კი ყველას ახარებს და „ჯადოსნურ ღამეს“ ჩათქმული სურვილების ასრულებისაც სჯერათ...

სანდრო მარანელი, იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი: „ისევე, როგორც ყველა სხვა სტუდენტი, მეც ვისურვებდი, რომ მომავალ წელს უნივერსიტეტმა შეძლოს სტუდენტებისათვის არა მარტო მაღალი ხარისხის განათლების მიწოდება, არამედ უფრო მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების შეთავაზება. ვიმედოვნებ, სტუდენტების მხრიდანაც გაიზრდება საუნივერსიტეტო აქტიობების ორგანიზებაში ჩართვის სურვილი. დარწმუნებული ვარ, ახალი წლის გამოწვევებს უნივერსიტეტი ფეხს აუწყობს და გააგრძელებს განვითარების გზაზე ღირსეულ სვლას“.

მანანა კობიაშვილი, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი: „ახალი წელი განსაკუთრებით მიყვარს. ეს წელი ჩემთვის მართლაც განსაკუთრებულია, რადგან პრესტიჟული უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი, თანაც სწორედ იმ ფაკულტეტზე მოვხვდი, რომელზეც ვოცნებობდი. საახალწლოდ იმდენი სურვილი მაქვს, მაგრამ ყველაზე მეტად მინდა წარმატებული ადამიანი გავხდე — ამისთვის მხოლოდ ოცნება არ არის საკმარისი, სწავლა არ მეზარება და ვეცდები, დასახულ მიზანს მივაღწიო. უნივერსიტეტს ვუსურვებ, რეალობად აქციოს სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, გაუმჯობესდეს სასწავლო პროცესი. ვულოცავ ყველას შობა-ახალ წელს!“

ნინო დადიანი, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი: „ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ოცნება ახდა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი, თუმცა, ვისურვებდი, რომ სტუდენტებისთვის მეტი რამ დადებითად შეიცვალოს: მათ შორის ინფრასტრუქტურა, მოწესრიგდეს კვების ობიექტები... გარდა ამისა, ბევრი ჩემი მეგობარი სწავლის პარალელურად მუშაობს, ამიტომ მათი ხელშეწყობის მიზნით საჭიროა სასწავლო ცხრილები მათ გრაფიკზე იყოს მორგებული. სტუდენტებისთვის, ასევე, არ არის გასართობი სივრცე, სადაც თავისუფალ დროს გავატარებდით. ასე რომ, სურვილები გვაქვს და მათ ასრულებას ველოდებით“.

თაკო მანთიძე, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი: „ძალიან მაწუხებს ის ფაქტი, რომ კვების ობიექტებით არაა აღჭურვილი კორპუსები. მოუხერხებელია, მთელი დღე იყო უნივერსიტეტში და წყალიც კი ვერ დალიო... თუ საკვების მომზადების საშუალება არ არის, სასადილო ოთახი მაინც მოგვიწყონ, რადგან დერეფნებში მივირთმევთ საკვებს, რაც ძალიან არასასიამოვნოა. ახალი წლიდან, ასევე, ვისურვებდი ცხრილის ადმინისტრაციულად მოწესრიგებას. კურაციული სისტემის იდეა ძალიან მომწონს, მაგრამ სწორი განხორციელება სჭირდება, რაშიც ცხრილის უკეთ დალაგებას ვგულისხმობ. მართლა კარგია, რომ 10 გამოცდის ჩაბარება ერთად არ გვიწევს, მაგრამ ხარვეზები მაინც არის და ვისურვებდი ეს ხარვეზები მინიმუმამდე დაიყვანონ“.

სოფიკო თავშავაძე, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი: „უნივერსიტეტში ყველაფერი მომწონს, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება ავირჩიე და ძალიან მინდა სწავლა საზღვარგარეთ გავაგრძელო. სურვილების ხეს სწორედ ამ სურვილს ჩავუთქვამ. იმედია, ფაკულტეტის მხრიდან ხელშეწყობა მექნება... საახალწლოდ კი უნივერსიტეტს წინსვლას და წარმატებას ვუსურვებ!“

ალექსანდრე გაბაშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი: „როგორც თსუ-ის სტუდენტმა, თავისუფლად შემიძლია ვისაუბრო განვლილ წელზე, რომელიც საკმაოდ ნაყოფიერი იყო ადმინისტრაციის, ლექტორების, სტუდენტური თვითმმართველობის და მომსახურე პერსონალის დამსახურებით. თსუ-ის ნებისმიერი წარმომადგენელი ყოველთვის ცდილობს ჩვენი უნივერსიტეტი იყოს პირველი და სტუდენტები ამას ძალიან კარგად ვგრძნობთ. რა თქმა უნდა, არის პრობლემები, რომლებიც ჯერ კიდევ მოგვარების პროცესშია, მაგრამ მჯერა, რომ მომავალი 2020 წელი ამ მხრივ წარმატებული იქნება“.

დიდი იმედი მაქვს, რომ ახალ სასწავლო წელს ახალი მიზნებით დავიწყებთ, მიზნები არ დარჩება მხოლოდ მიზნებად და შედეგსაც მალევე ვიხილავთ. იქიდან გამომდინარე, რომ უკვე გარემონტდა II კორპუსის ფასადი, გალამაზდა ბიბლიოთეკის შენობა, ე.წ. მაღლივი კორპუსის ფოიეც, ვიმედოვნებ, თსუ-ის სხვა აკადემიური კორპუსებიც გარემონტდება. მომავალი წლიდან, ასევე, ვისურვებდი, დაიწყოს ახალი და უკეთესი პირობების შექმნა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის განახლდეს ლაბორატორიები, გაორმაგებული ყურადღებით მოეკიდონ პრაქტიკულ სწავლებას.

მე, როგორც სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი, შემიძლია დაგპირდეთ, რომ მომავალ სემესტრში უფრო საინტერესო პროექტებს შემოგთავაზებთ. ბევრ საგანმანათლებლო, სამეცნიერო და გასართობ ღონისძიებას ვგეგმავთ, სადაც სტუდენტების ჩართულობა ბევრად გაიზრდება“.

ნიკა მუყასაშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი: „უნივერსიტეტის დღის წესრიგში მრავალი საკითხი კვლავაც გადაუჭრელია. რიგი პრობლემების მოგვარება ფინანსური სიდუხჭირის გამო ვერ ხერხდება, მაგრამ კარგი იქნებოდა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში სტუდენტების უკეთესი ინფორმირება და პროგრამების განახლების პროცესში მათი ჩართვა. ახალი წლიდან, ასევე, ვისურვებდი, რომ თსუ-ის ონლაინ პლატფორმები, ვებ-გვერდისა და სტუდენტური ბაზების სახით, მოწესრიგდეს, გაიზარდოს სტუდენტთა ინფორმირებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის ხარისხი. ხშირად სტუდენტებს საგამოცდო ცენტრთან და ცენტრალურ დეპარტამენტებთან კომუნიკაციის პრობლემა აქვთ. ამ პრობლემის მოსაგვარებლად მომსახურების დახვეწა აუცილებელია. სასწავლო პროგრამები, განსაკუთრებით სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ფუნდამენტურ განახლებას საჭიროებს. მეცნიერული კუთხით სამეცნიერო ვაკუუმში ვიმყოფებით, რადგან არ ხდება საგნების ლიტერატურული განახლება“.

ანა გრიგალაშვილი, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი: „საახალწლოდ ვისურვებდი მეტ გასართობ ღონისძიებას, ბევრ „პუფს“ უნივერსიტეტის დერეფნებში... ჩემი აზრით, სტუდენტური ცხოვრება ცოტა მოსაწყენია. მეტი ინიციატივაა საჭირო, რომ ჩვენ თავისუფალი დრო შინაარსიანად გავატაროთ. გარდა ამისა, ვისურვებდი გამართულ ბაზებს და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას! ვულოცავ ყველა უნივერსიტეტელს და მთელ საქართველოს შობა-ახალ წელს!“

ლუკა სიამაშვილი, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი: „ახალ წელი სიახლეებთან ასოცირდება და ახალ წელს მეც ყოველთვის ახალი სურვილებით ვხვდები. ჩემი მიზანია, გავხდე ნამდვილი პროფესიონალი. უნივერსიტეტს ვუსურვებ, გაამართლოს სტუდენტების მოლოდინები: იყოს რაც შეიძლება მეტი გაცვლითი პროგრამა, რათა ახალგაზრდებმა შეძლონ და მიიღონ ევროპული განათლება; ყოველთვის იყოს წამყვანი სასწავლებელი და გაამართლოს ახალგაზრდობის იმედები — სურვილების ხესთან სწორედ ამას ჩავუთქვამდი...“

Ezing-nlnl
უნივერსიტეტი

მთავარი რედაქტორი
ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი
მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი
მანანა ჯურხაძე

ჟურნალისტები:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ფოტოკორესპონდენტი
ანა ბოლქვაძე
კომპ. უზრუნველყოფა
ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
იაგო კაჭკაჭიშვილი,
მანანა შამილიშვილი,
თინათინ მარგალიტაძე,
თინათინ ბოლქვაძე,
ეთერ ხარაიშვილი,
რევაზ გველესიანი,
მზია წერეთელი,
ნინო ჩახუნაშვილი,
გიორგი ჯაიანი,
ომარ მუკბანიანი,
მორის შალიკაშვილი,
მაია ივანიძე,
მამუკა მარგველაშვილი,
გიორგი ლობჟანიძე,
ნატა ასათიანი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
2 22 36 62

ვებგვერდი:
newspaper.tsu.edu.ge
ელ.ფოსტა:
tsunewspaper@tsu.ge

2017 წლის 1 ოქტომბრიდან გადაცემა „უნი-ვერსია“ გადის რეგიონულ ტელევიზიებში, რასაც საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია უზრუნველყოფს (თსუ-სა და საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად).